



IX წ. საქართველოს საზოგადოებათა კავშირი. IX წ.
№ 9. კვირა, 25 თებერვალი 1901 წელსა. № 9.

ქართული ენობის საზოგადოების რედაქცია, აუწყებენ-რა ქართველ მკითხველ საზოგადოებას გარდაცვალებას მსოფლიო პოეტის
თ. რაფიელ ერისთავისას,
თხოვენ კვირას, 25 თებერვალს, განსვენებულს სოფ. ქისტაურში დასაფლავების დაეს, თფილისში, ქვაშეთის წმ. გიორგის ეკლესიაში მობრძანდენ წირვასა და პანაშვიდზე დასასწრებლად. წირვა დილის 10 ს. დაიწყება.


თფილისის გუბერნიის თავად-ახსნაურთა წინამძღოლი უმორჩილესათა სთხოვს გუბერნიის თავად-ახსნაურთ, კვირას, 25 თებერვალს, ქვაშეთის წმ. გიორგის ეკლესიაში მობრძანდენ, სადაც განსვენებულის
თავ. რაფიელ ერისთავის
სულის მოსახსენებლად წირვა და პანაშვიდი იქმნება გარდახდილი. წირვა დილის 10 საათზე დაიწყება.

ქართული დრამატული საზოგადოება, აუწყებს-რა თავისს წევრებს გარდაცვალებას საზოგადოების საპატიო წევრის, პოეტისა და დრამატურგის
თ. რაფიელ ერისთავისას,
სთხოვს დღეს, 25 თებერვალს, ქვაშეთის ეკლესიაში მობრძანდენ, სადაც წირვა და პანაშვიდი იქმნება გარდახდილი. წირვა დაიწყება დილის 10 საათზე.

თფილისის ქართველი ხელახსნები და წვრილი ვაჭრები სთხოვენ ყველა თანამგრძობელთ მობრძანდენ დღეს, 25 თებერვალს, ქვაშეთის წმ. გიორგის ეკლესიაში, სადაც გარდახდილი იქმნება წირვა და პანაშვიდი გარდაცვალებულის ჩვენი საყვარელი და ძვირფასი პოეტის
რაფიელ ერისთავის
სულის მოსახსენებლად.

† თავ. რაფიელ ერისთავი (ნეკროლოგი)

ბარსულ კვირის ორშაბათს დეპეშამ ამცნო თფილისელ გაზეთებს ფრიად სამწუხარო ამბავი. „19 თებერვალს, საღამოს 3 1/2 საათზე, გარდაიცვალა ქ. თელავში ჩვენი მსოფლიო პოეტი თავ. რაფ. ერისთავი“. ეს იყო სევდის ხმა, რომელმაც დაჰქვიითინა „მაშვრალთა კერას“ და მის დაწყებულ გულს ჩაეწვეთა მწარე ცრემლათ. აღარ გვყავს ის, რომლის კალამიც ნახევარ საუკუნის განმავლობაში ემსახურებოდა ქართულ ლიტერატურას. აღარა გვყავს ჩვენი „გლახთა მგოსანი თავადი“ რაფიელ! დიახ, „გლახთა მგოსანი თავადი“ — აი რა არის ჩვენთვის საგულისხმო და ჩასაფიქრებელი. ყოველი მწერალი, გენიოსია იგი თუ საშუალო ნიჭის პატრონი, ფასდება იმისდა მიხედვით, თუ საით არის მისი გრძობები მიმართული, რა გაიხადა მან თავის კალმის სათაყვანო საგნათ და რას ემსახურება იგი. აი ამ მხრივ თუ შე-



† თ. რაფ. ერისთავი.

ვხედეთ აწ განსვენებულის თ. რაფიელის მწერლობას, მხოლოდ მაშინ მივხვდებით რითი იყო იგი ჩვენი ერის საყვარელ მწერალთა შორის უსაყვარლეს მგოსნათ. როგორც საზოგადოთ ყველგან, ისე ჩვენშიაც ჩვენს მწერალთა უბირველეს ცხოველ გრძობას შეადგენდა მამულის სიყვარული. არც თ. რაფიელის გულში იყო ნაკლებათ ვალდებულები ეს გრძობა, მაგრამ საგულისხმო ის არის, რომ მან ეს სიყვარული მთელი თავისი არსებით გადაიტანა ჩვენი ერის იმ ნაწილზე, რომელსაც დაბალ-მუშა ხალხს ვეძახით. მან თავისი ჩანგის ჰანგები ჩააქსოვა „მაშვრალთა“ ბედს და ხალისიანი კალმით დაგვიხატა ის ჯურღმული, რომელიც ჩვენში ჯერ კიდევ არ არის გამოტანილი სავსებით სინათლეზე, და რომელიც იმ დრომდის არ გამხდარა ყურადღების ღირსი არც ერთ მის თანამედროვე მასზე უფრო ახალგაზდა მწერლებისა. და რამდენათაც ქართული მწერლობა ფრთას გაშლის ამ გზაზე, რამდენათაც უფრო ქართველი შრომის შეილი შეიგნებს თავის პიროვნებას, იმდენათ უფრო მოემატება შარავანდელი დღეს დაკარგულს „ხალ-

ხის მგოსნის“ გვირგვინს, გვირგვინს, რომელიც შეიძლება არ იყოს აღმართული ხელ-ქმნილ კვარცხლობეკზე, მაგრამ სიყვარულის კონათ იგი გაიშლება მაშვრალთა გულში და დაუფიწყარ ჰყოფს მას, ვიდრე არსებობს ქართველი ერი.

თავადი რაფიელ ერისთავი დაიბადა 1824 წელს აპრილში ს. ქისტაურში. მამა მისი დავით ერისთავი ეკუთვნოდა იმ ძველს დარბაისელ თავადთაგანს, რომელიც, იგრძნეს რა ახალი დროის მოთხოვნილებანი, ცდილობდნენ მის შესაფერად მოეწყოთ თვისი ოჯახი. დედა მისი, კნენა ნინო ავთანდილ ამილახვრის ქალი, გაწრთვნილი ჩვენის ძველის ლიტერატურით, ხელს უწყობდა შვილის აღზრდას, იგი უამბობდა პატარა რაფოს „ქართლის ცხოვრებიდან“ ქართველთა გმირობას ძველ დროში, უკითხავდა ვეფხვის ტყაოსანს და საზოგადოთ აცნობდა ჩვენს ძველს ლიტერატურას. ერთის მხრით, ოჯახში შესაფერი აღზრდა, მეორე მხრით კახეთის დიადი ბუნება, სოფელი და მისი ცხოვრება, აღვიძებდნენ ბაღლის ბუნებაში ჩანერგილ ზენაარს ნიჭს. შვიდი წლის რაფოს დედამ დააწყებინა ქართული წერა-კითხვა. ხოლო როდესაც შეიქმნა იგი ათის წლისა, მიაბარეს რუსული ენის შესასწავლათ ვინმე კრასნოსკულოვს, რომელიც იმ ჟამათ მიიწვიეს სოფელში მასწავლებლათ ერისთავიანთ რამდენიმე ოჯახში. შემდეგ კრასნოსკულოვი გადავიდა თელავს საცხოვრებლათ და თან წაიყვანა თავისი მოწაფეც. მაგრამ მამამისმა აქ დიდხანს აღარ დააყენა იგი მასწავლებელთან და შეიყვანა თელავის სამაზრო სასწავლებელში. ასე და ამგვარათ შეისწავლა რაფომ ქართული წერა-კითხვა და ცოტაოდნათ რუსულიც. ამის შემდეგ თავადმა დავითმა მოისურვა შეესწავლებინა შვილისთვის სამეცნიერო საგნებიც ქართულს ენაზე, რისთვისაც მიიყვანა იგი შუამთის მონასტერში, სადაც იმ დროს სასწავლებელი ჰქონდა გამართული დიდათ განსწავლულს ბერ-მონაზონ კიკნაძეს. ყმაწვილმა აქ შეისწავლა სამშობლო ენაზე გრამატიკა, საღვთის-მეტყველო საგნები, დიალექტიკა, რიტორიკა, საეკლესიო გალობა და სხვა... ბერ-მონაზონი კიკნაძე, მოყვარული და კარგათ მცოდნე ძველის მგოსნებისა, თავის მოწაფეებს ხშირად ავარჯიშებდა ლექსითა თხზუაშიაც. პატარა რაფომ აქ პირველათ გამოიჩინა თავისი ნიჭი და თითქმის აქ, ამ მონასტრის ზღუდეთა შორის, გამოირკვა საგანი მისი ცხოვრებისა.

ხოლო რადგანაც ამგვარი სწავლა ცხოვრებაში უსარგებლოთ იყო მიჩნეული მაშინ და ყველგან რუსული ენის მცოდნეს აძლევდნენ უპირატესობას, ამისათვის მამა მისი თ. დავითი ამის შემდეგ შეუდგა ყმაწვილის საფუძვლიანათ მომზადებას და მონასტრიდან გადაიყვანა იგი ქ. გორს, სადაც მიაბარა ხერსონის რაზმის ხაზინდარს კაჩერგინს. აქ ყმაწვილმა პრაქტიკულად შეისწავლა რუსული ენა. ორი წლის შემდეგ აქედან გადაიყვანეს ქ. თფილისში და მიაბარეს პანსიონში, საიდანაც დადიოდა იგი კეთილ-მოზილთა სასწავლებელში და იქ დაამთავრა კიდევ კურსი 1845 წელს. შემდეგ ამისა თავადი რაფიელ ჩაება ცხოვრების ქირ-ვარამში. იგი მსახურებდა რამდენსამე სახელმწიფო დაწესებულებებში, მის ცენზორობის დროს დაიწყო ჩვენი მწერლობის გამოფხიზლება და ხელ-ახალი აღორძინება. ჩვენ აქ არ შევუდგებით მის დაწერილებითი დაფასებას. მხოლოდ ესლა,

როდესაც დავსცქერით მხცოვანის დიდებულს გვამს, უნებურათ გვაგონდება 22 ოქტომბერი 1895 წლისა, როდესაც ქართველმა ერმა გადაიხადა ორმოც-და-ათი წლის იუბილელი თავის საყვარელ მგოსნისა. ამ დღემ ნათლად დაგვანახვა, თუ რაოდენათ დიადია ჩვენის ხალხის გულში ჩასვენებული სიყვარული თავის მგოსანისადმი, თუ რაოდენათ აუტოკებია ჩვენი ხალხის სული მგოსნის მადლიან ჩანგს.

დიდება ძღვეა-მოსილს მხცოვანს „თავად—გლვთა მგოსანს“, დიდება და საუკუნო ძეგლი ხალხის გულში!

დღეს, ოცდახუთს თებერვალს, კახეთში, ს. ქისტაურში, მიწას მიაბარებენ ჩვენი მხცოვანი პოეტის თ. რაფიელ ერისთავის გვამს. განსვენებულს ანდერძი დაუტოვებია, რომ იგი დაასაფლავონ თავის სამშობლო სოფელ ქისტაურში.

თფილისის ქართულ ჟურნალ-გაზეთების და სხვა დაწესებულებათა წარმომადგენელთ გადაუწყვეტიათ ის ფუნქციონირება, რომელიც უნდა დახარჯულიყო განსვენებულის თ. რაფიელ ერისთავის გვირგვინებში, მოხმარდეს რამე სამადლო საქმეს პოეტის სახელის საუკუნო სახსენებლად. ამ აზრით უკვე შეკრებილა 600 მან.

წარსულ ხუთშაბათს ქვაშვეთის ეკლესიაში პანაშვიდი იქმნა გარდახდილი აწ განსვენებულის პოეტის თ. რაფიელ ერისთავის სულის მოსახსენებლად. პანაშვიდს დაესწრენ ქართული ჟურნალ-გაზეთების წარმომადგენელნი და მრავალი ინტელიგენცია.

რ ა ფ ი ე ლ მ რ ი ს თ ა ვ ს .

მანგად ხმარობდა ხალხის გულს,
სიმუხად—მსწრალთ ცრემლებს;
აწვივის ფრთები მთავლად
სამშობლად „საღვთა კლდეებს“.
ის არ მომკვდარა... უკვდავთ
ჩანდა ხალხის უბეში,
მარად იმისთვის მღერადი,
მისთვის უკვდავი ნუგეში.
ის არ მომკვდარა... არ კვდება
ჩანგი მსწრალთა კერაზე,
ის აღიმართა გვირგვინათ
სამშობლად მთების მწვერვალზე!

ი. ევლავილი.

თავადი რაფიელ ერისთავი,
როგორც
საკერო პოეტი 1)

სანამ რაფიელ ერისთავი თავის ნამდვილ თემას მიაგნებდა, მას დაწერილი აქვს რამდენიმე ლექსი: „ზამთარი“, „აღდგომა“, „ზობა“, „გაზაფხული“, „ზაფხული“ და „როფელი“, სადაც მას აწერილი აქვს ან ყმაწვილის

1) ეს სტატია ამოღებულია ბ. ი. გომართელის ვრცელი წერილიდან თ. რ. ერისთავის შესახებ, რომლის დაბეჭდვას ამ ახლო დროში შევუდგებით.



მარტივი ბუნება და მისი მხიარულება, ან გლეხის მუშაობა. ყველა ეს ლექსები ხელოვნების მხრივ იმდენათ საუცხოვრანი არიან, რომ მკითხველს თვალწინ ეხატება როგორც მხიარული ბავშვი, რომელიც დღესასწაულს შეეხარება, ისე მუშა, რომელიც მხიარულია მით, რომ ღმერთმა მოსავალი მისცა. ამ ლექსების შემდეგ რაფიელმა პირდაპირ თავის თემას მიმართა.

მესამე და მასთან საუკეთესო ხანა თავის მოღვაწეობისა პოეზიის ასპარეზზე რაფიელმა დაიწყო ლექსით „სამშობლო ხევსურისა“. ამ ლექსს ჩვენს საზოგადოებაში, როგორც განათლებულ ნაწილში, ისე გაუნათლებელ ხალხში, დიდი სახელი აქვს მოხვეჭილი. შემუშვდრათ შეიძლება ვთქვათ, რომ საზოგადოება რაფიელს ყველაზე უფრო ამ ლექსით აფასებს. „სამშობლო ხევსურისა“ ღირსიც არის ასეთის სახელისა და გავრცელების და აშკარათაც მოწმობს ავტორის ძლიერ ნიჭს ამ სფეროში, რომელსაც მან ასე გვიან მიაგნო, ხოლო რა არის ამ ლექსში მიმზიდველი, რა ხიბლავს მასში მკითხველს ასე უზომოთ, ეს ძალიან ბევრს ნათლათ არა აქვს წარმოდგენილი. 95 წელს, რაფიელის ორმოცდაათი წლის იუბილეს დროს, „ივერიამ“ და „მოამბემ“ სხვა-და-სხვა აზრი გამოთქვეს ამ ლექსის შესახებ. მაშინ, როდესაც „ივერიის“ კრიტიკოსი ამ ლექსის ღირსებას იმის პატრიოტულ აზრში ჰპოვებდა, „მოამბეში“ ბ. ნი გრ. ყიფშიძე ამ ლექსის სიდიადეს „ტიბიური ხევსურის ცხოველ სურათსა და მის ჭეშმარიტ ფსიხოლოგიას“ აწერდა²⁾.

მკირეოდენი ჭეშმარიტება ორივეს აზრშია, მაგრამ ამ ლექსის სიდიადე და ღირსება სულ სხვა გარემოებაშია. თუ გავსინჯავთ ამ ლექსს, როგორც პატრიოტულს, ის ვერ გაამართლებს იმ სახელს, რომელიც მას ღირსეულათ აქვს მოხვეჭილი,—მთიულს სრულებით არ ესმის სამშობლო ისე, როგორც დღევანდელ ქართველს. მისი წარმოდგენა სამშობლოსი სრულებით პრიმიტიულია; მაშინ, როდესაც დღევანდელი ქართველი თავის სამშობლოთ მარტო იმ ალაგს-კი არა სთვლის, სადაც დაბადებულა და გაზრდილა, არამედ მთელ საქართველოს, რაფიელის მთიულს საქართველოს მხოლოდ ის ნაწილი მიაჩნია თავის სამშობლოთ, სადაც ის შობილა, გაზრდილა და სადაც მისი მამა-პაპის საფლავია. მარტო ასეთი წარმოდგენა სამშობლოსი დღევანდელ ქართველში ვერც თანაგრძობას გამოიწვევს და ვერც პატრიოტულ გრძობას აღუძრავს მას; მიუხედავად ამისა „სამშობლო ხევსურისა“ თანაგრძობას იწვევს ჩვენს გულში, პატრიოტულ გრძობასაც აღგვიძრავს. რა არის ამის მიზეზი? ის გარემოება, რომ რაფიელ ამ ლექსში ისე ცოცხლათ და ისე ძლიერათ გვიხატავს მთიულის სიყვარულს სამშობლოსადმი, რომ თავის გრძობასა და თავის სიყვარულს მთიული შემუხნევლათ ჩვენც გადმოგვცემს. როდესაც კითხულობთ ამ ლექსს, თვალწინ ცოცხლათ გეხატებათ მთიული, რომელიც ძლიერ სიყვარულს მიუჯაჭვავს თავის სალ კლდეებზე, სადაც მას შავი სიკვდილი უჯობს სხვაგან სიცოცხლესა და ლაღობას; მისჩერებისხარტ ამ მთიულს, პირველათ თითქოს. გულიც მოგდისთ ამაზე, რომ მას ასე ვიწროთ წარმოუდგენია თავისი სამშობლო, მაგრამ მისი გულწრფელობა გულს გიღობობსთ, მისი უზომო სი-

ყვარული სამშობლოსადმი გვიბლავსთ, უკვირდებით მისი ძლიერი გრძობის ჩქეფას, დავიწყებას ეძლევით, გიცოცხლდებათ თვალწინ ის კუთხე, რომელთანაც შეკავშირებულია თქვენი დაბადება, გაზრდა, სიყმაწვილე, იღვიძებს თქვენს გულში სიყვარული, იზრდება, იშლება და გარშემო ეფინება მთიულის ვიწრო სამშობლოს კი არა, არამედ მთელს სამშობლოს, როგორც თქვენა გაქვსთ წარმოდგენილი, და აღტაცებული მზათა ხარტ, ბანი მისცეთ ხევსურს:

„არ ვაგცვლი შე ჩემ სამშობლას
სხვა ქვეყნის სამთხეზუდა!“-თ.

„სამშობლო ხევსურისა“-ში მთიულის გრძობა და სიყვარული თავის სამშობლოსადმი გადამდებია ყოველი ქართველი მკითხველისათვის და ამ ლექსის ღირსება და მნიშვნელობაც სწორეთ ამაში მდგომარეობს. ჩვენი პოეტების უმეტესობა პატრიოტული ლექსებით მხოლოდ გვაოცებს წარსულ გმირთა სიმამაცითა და თავდადებით და გვარიგებს: აი როგორ უნდა სამშობლოს სიყვარულიო. რაფიელი-კი არც არაფრით გვაოცებს, არც დარიგებას გვიკითხავს,—მას უკეთესი საშუალება აქვს: ის გვიძრავს გულში ძლიერ სიყვარულს სამშობლოსადმი

საზოგადოებრივი ცხოვრება, მისი მსვლელობა, მისი კანონები რაფიელის ყურადღებას როგორღაც არ იქცევდა; ამ მხრივ პოეტი სრული მზგავსებაა თავისი გლეხის, რომელიც კმაყოფილია არსებულით და, თუ უბედურება რამ ეწვია, მაშინაც-კი ღმერთს ემადლიერება. ამიტომ თუ მის პოეზიას უკანასკნელი და მასთან მძლავრი ხმა გლეხმა გამოაღებია, იმ გლეხმა, რომელსაც პოეტი აქამდე ყურადღებას არ აქცევდა, რაფიელიც მხოლოდ გლეხს უმღერის და მის ინდივიდუალურ ცხოვრებას. ამ მხრივ დიდი განსხვავებაა რაფიელსა და სხვა ჩვენ მწერლებს შორის. შეადარეთ მისი გლეხი ილია ჭავჭავაძის, ნინოშვილის და სხვ. გლეხს. ამათ სახეში ჰყავდათ გლეხი—წვერი საზოგადოებისა; ესენი გვიხატავენ ამ გლეხს იმ სოციალურ წრეში, რომელიც მას გარს არტყია, იმ ფიქრებს, რომლებსაც მასში ეს ცხოვრება იწვევს. რაფიელი-კი ყურადღებას არ აქცევს იმ სოციალურ პირობებს, რომლებშიც გლეხი ტრიალებს; მას სახეში ჰყავს მხოლოდ გლეხი—მიწის მუშა. მაგალ., ნინოშვილის გლეხი ცხოვრებას ებრძვის და ამ ბრძოლის დროს არა თუ ხშირათ სრულებით აყურება ხოლმე გული ცხოვრებაზე და სიცოცხლე ბეზრდება, ღვთისადმი საყვედურიც-კი წამოცდება ხოლმე ხანდახან. რაფიელის გლეხი-კი მხოლოდ

ესმების შავს მიწას დღითი-დღე,
ჯაფიანგან მოქანტუფაის.

რა უბედურებაც უნდა დაატყდეს მას თავზე, გული აროდეს არ უტყდება, სიცოცხლე არ მოძულდება და ღვთისადმი საყვედური არასოდეს არ წამოცდება:

შე დედამიწის შებრძლი
გლეხი ვარ, გლეხთ შობილი.
არა ვარ ღვთის მომდურაფი,
არა ვარ გუფ-ჩათხრახილი.

რაფიელის გლეხის უდიდესი უბედურება გვალვა და სეტყვაა, მაგრამ ასეთი უბედურების დროსაც-კი ის ღვთის მადლიერია:

რატა მდალატაბს მზე-წვიმა და მომიტდება ყანები,
უფლის ნებას, რა ვუფა, შე იმას ვეთაყვანები!..

²⁾ იხ. „მოამბე“ 95 წ. № X, გვ. 91.



რაფიელის გლეს მთელი თავისი ბედ-იღბალი ოფ-
ლით ჩაუწერია დედამიწაში; მიზანი მისი ცხოვრებისა
შრომაა, და როგორი შრომა,—„ყამირის გადაშავება!“
ასეთი შრომის გარეშე მას თავისი თავი და ცხოვრება
ვერ წარმოუდგენია. მთელი მისი ცხოვრება ოთხ სიტყვა-
ში: გაზაფხული, ზაფხული, შემოდგომა, ზამთარში, არის
გამოხატული; გაზაფხულიდან მოკიდებული ის იწყებს
მიწასთან ბრძოლას, ის ამაყობს თავისი შრომით და, რო-
დესაც თავისი შრომის ნაყოფს ჰხედავს, სრული ბედნი-
ერია. იმის უბედურებასა და ბედნიერებას, მწუხარებასა
და მხიარულებას არავითარი კავშირი არა აქვს საზოგა-
დო მწუხარებასა და მხიარულებასთან და საზოგადო მი-
ზეზებთან. მაშინ, როდესაც თუნდ ილ. ჭავჭავაძის გლე-
ხის ფიქრი და მწუხარება საზოგადო ფიქრი და მწუხარე-
ბაა, ცხოვრების პირობების მიერ აღძრული და გამოწვე-
ული, რაფიელის გლესის მხიარულება და მწუხარება მხო-
ლოდ მისი საკუთარი, ინდივიდუალურია, ისეთი მიზეზე-
ბით გამოწვეული, როგორც ხარის სიკვდილი ან სეტყვი-
საგან ყანის წახდენაა. მისი სიცოცხლე მიწის ჩიჩქანში
გამოხატება და ამიტომ მას ყოველისფერი უყვარს, რაც
კი ამ შრომაში ეხმარება; რა ღრმა, უზომო, ძლიერი,
სწორეთ მეგობრული სიყვარული და მასთან უნუგემო
სევდა გამოიხატება თანდილას სიტყვებში:

შენიჭირიმე, გიშურავ!.. ჭირიმე შენა ქედისა...
მამცაღდი, მამკაღ, ბეჩავი,—მწევეარი ჩემის ბედისა!..

რა უბედურებაშია ცუნდა ჩავარდეს ის, გულ-გატე-
ხილი აროდეს არ არის ცხოვრებაში, ის გლესათ დაბადა
უფალმა, შრომისაგან ოფლშია გაწურული, მაგრამ არა
თუ გული არ გატეხია, კიდევ

„ამაყობს, რამ აქვს ბუჯი ნამკაღი“.

რაფიელს უყვარს თავისი გლესი, რომელსაც
„ხეთქი გადსადის გულ-გაჯედილსა
და ხსადუხიჯ არ მოსდევს მშრადი,
თავზე წაუკრავს ნარმის ნახევი“... და სხ.

ღრმა და წრფელი სიყვარულით აღვიწერს იმის
„დაკორძებულ ხელებს“, „დაწყლულებულ ფეხებს“, „გა-
დაღელილ მკერდს“, „აქცეებულ კისერს“ და ასეთი გლე-
ხი არა თუ არ მიაჩნია მას საცოდავ, უბედურ, შესაბრა-
ლის და დაბეჩავებულ არსებად, არამედ თითქოს კადევ
შენატრის მას, რადგანაც მასში ბედნიერ არსებას ჰხე-
დავს: რაფიელის თვალში ბედნიერება—„ეს არს კმაყო-
ფილება მასზედ, რაც კაცს ჰქონა“, და მისი გლესი ხომ
ყოველთვის კმაყოფილია მით, რაცა აქვს. ამ გლესის ხა-
ტვაში რაფიელის ნიჭი იმდენათ ძლიერია, რომ მკი-
თხველს სრული ილიუზია ეძლევა, მას თვალწინ ცო-
ცხლათ ეხატება გლესი—მიწის მუშა და პოეტთან ერთათ
სიყვარულითა და პატივისცემით იმსკვალება ამ „გუთნი-
თა და ნამგლით მებრძოლისადმი“. ამგვარათ, იმ ლექსე-
ბის მნიშვნელობა, რომლებშიაც რაფიელმა თავისი ნიჭი
გამოააშკარავა, მხოლოდ გლესის პიროვნების ამაღლება-
ში მდგომარეობს; პოეტმა გააცნო ეს გლესი საზოგადო-
ებას და დაანახვა, რომ ისიც ჩვეულებრივი ადამიანია,
რომ მასაცა აქვს სული და გული.

ი. გამართელი.

შინაური მიმოხილვა.

ნოქრების გაქირვებულ მდგომარეობას ხშირათ მიუ-
ქცევია მთავრობისა და საზოგადოების ყურადღება. დიდი
ხანი არ არის მას აქეთ, რაც ბათუმის ხმოსანთა შორის
ამ კითხვამ დიდი ალიაქოთი ააყენა და საბჭო ორ ბანა-
კათ გაიყო: ნოქრების მომხრეთ და მოწინააღმდეგეთ.
ასეთი ამბავი ყველა ქალაქებში მომხდარა და, იმედია, კი-
დევ მოხდება. კავკასის ნოქართ, როგორც გაზეთები გვა-
ტყობინებენ, შეერთებულან და დაუარსებიათ „ნოქართა
საზოგადოება“. ჩვენ არ ვიცით, რა წესდებით ხელმძღვა-
ნელობს ეს „საზოგადოება“, მაგრამ ეს-კი ცხადია, რომ
ის ნოქრების სასარგებლოთ არის მიმართული და მას
თვითონ ნოქრები განაგებენ. ეს ერთად ყოფნა და ერ-
თად შრომა მათ შეაჩვენეს ერთმანერთის გაგებას და სა-
ერთო საქმის საერთო ძალ-ღონით გაძლოლას. რამდენა-
დაც ვიცით, ასეთი საზოგადოების დაარსება თფილისში-
აც სურდათ, მაგრამ დღემდის ეს მარტო სურვილად და-
რჩა. დრო არის, ეს კითხვა ხელ-ახლა აღიძრას და ნო-
ქართა ყურადღება მიიპყროს.

* * *
ქიათურის მსხვილმა და წვრილ მწარმოებელთა შორის
ამტყდარ განხეთქილებამ მიაღწია უმაღლეს მთავრობის
ყურამდეც. ამის შესახებ „კავკასის“ ერთი თანამშრომელი
საინტერესო ცნობებს იძლევა (№ 40). გასული წლის და-
მლევს რუსეთის რკინის გზის ინსპექტორის, გორჩაკო-
ვის, წინაშე წამდგარა 10-12 წარმომადგენელი ქიათუ-
რის მწარმოებელთა, რომელთა შორის სასტიკი შეჯახება
მომხდარა. წვრილ მწარმოებელთა წარმომადგენელს პირ-
დაპირ განუცხადებია, რომ „ქიათურაში სხვილი მრეწველ-
ნი არ არიანო და ეს, ერთი შეხედვით სიმართლეს მო-
კლებული განცხადება, არავისგან არ დარღვეულა. იმას
უთქვამს: იქ არიან ერთი მხრით ექსპორტები, რომელ-
ნიც თავის თავს უწოდებენ მსხვილ მწარმოებლებს, მე-
ორე მხრით-კი ნამდვილი, მაგრამ წვრილი მწარმოებლე-
ბი; პირველთ, გარდა ორი-სამისა, არც კაპიტალი აქვთ
და არც ერთი მტკაველა მიწა ქიათურაში, სამაგიეროთ
ბანკებში მათ აქვთ კრედიტი, რის წყალობითაც ხელში
ჩაიგდეს შავი-ქვის მთელი წარმოებაო“ და სხ. ერთი სი-
ტყვით, ამ ბედნიერ ქიათურაში ყველაფერი ყოფილა,
გარდა სხვილი მწარმოებელი კაპიტალისა. აქ, წინააღმ-
დეგ თანამედროვე წარმოებისა, სხვილი მრეწველობის
ალაგი სხვილ ჩარჩობას დაუქერია და კომისიონერთა სა-
ხელით სულს უხუთავს არა მარტო მასზე დამოკიდებულ
ხალხს, არამედ თვით მრეწველობასაც. და აი, თურმე
რანაირი ეკონომიური წყობილების დამცველათ გამოდი-
ოდენ მრეწველთა კრების დროს ქუთაისის „პროგრესის-
ტები“!..

* * *
ბათუმის საბჭოს ამბავმა აალაპარაკა ადგილობრივი
ყურნალ-გაზეთები და მათ სასახლოთ უნდა ითქვას, რომ
გარდა „კავკასისა“, ყველა მიემხრო საბჭოს განაჩენს ბ.
პალმის შესახებ. „კავკასია“-კი თავისი აზრის მაგიერ, თუ
დავუჯერებთ ბ. ვოლსკის, ისევ პალმის აზრი გამოხატვა
და რა იქნებოდა ეს—თუ არა საბჭოს გაკიცხვა და „ჩერ-
ნომორსკი ვესტნიკის“ გამართლება. ბ. პალმი აღარც
თავის გაზეთში ცხრება და ელავება თფილისის გაზეთებს,



ჩხეიძე სტყუის და მასთან ერთად თქვენც სტყუითო (№ 40). მაგრამ, ერთი მითხარით, თუ ჩხეიძის მოხსენება ნამდვილ ფაქტებზე არ იყო დამყარებული, რატომ ბ. პალმა მაშინვე საბჭოში არ უპასუხა და არ დაურღვია? მას ხომ სიტყვის ისეთივე თავისუფლება ჰქონდა, როგორც ჩხეიძეს და რომ რამე საბუთი ჰქონოდა, შიგ პირში არ მიახლიდა საბჭოს? მაგრამ, არა, იქ მან პირში წყალი ჩაიყენა, ხმა გაჰკიდა და გარეთ, თავის გაზეთში-კი, სადაც მოდავე არა ჰყავს, „ბღღვირს“ ადენს ჩხეიძეს, საბჭოს და მთელ ადგილობრივ პრესას. აი, სწორედ ამას ჰქვია ბრძოლა ბრძოლის შემდეგ. ბ. პალმი ამბობს, რომ მე არა დამიწვრიარა, გარდა იმისა, რომ ივანოვის გაშავება „პარტიული“ მოსაზრებით მოხდაო. მეორე საბუთათ ბ. პალმს ის მოჰყავს, რომ მან ივანოვის გაშავება განასაჩივრა, სადაც ჯერ არს... რა გვარი იქნება ეს „საჩივარი“, ადვილათ მისახვედრია და აღარ ვიცი, ამას შემდეგ რა არ არის მართალი ჩხეიძის მოხსენებაში... არა, ბ. პალმი რაც უფრო თავს მართლულობს, მით უფრო თავს ამტყუნებს. ეს სწორედ ვერაფერი ხელობაა...

სხვა-და-სხვა ამბები.

მც თებერვალს თფილისის არტისტიულ თეატრში ქართულ დრამატიულ საზოგადოების სასარგებლოდ გამართულ იქმნა ქართულ-რუსული წარმოდგენა კნ. ნ. დ. ჩოლაყაშვილის მოთავეობით. წარმოდგენის შემდეგ დადგეს ცოცხალი სურათები და ბოლოს გაიმართა ქართული და ევროპიული ცეკვა. წარმოდგენას ხალხი ბლომათ დაესწრო, სულ შემოსავალი ორას ორმოცდაათ თუმნამდგა. წარმოდგენას დაესწრო მთავარ-მართველი თავადი გოლიცინი მეუღლითურთ, რომელმაც ქართულ დრამატიულ საზოგადოებას იქავე შესწირა 1000 მანეთი.

პეტერბურგიდან იწერებიან, რომ მიწად-მოქმედების სამინისტროში აღძრულა კითხვა შესახებ თფილისის საბაღოსნო სკოლის მდგომარეობის გაუმჯობესებისა და მის ხსენებულ სამინისტროში გადატანისა.

ქალაქების დამტარებლებს და ბარგის გადაზიდველთ განუზრახავთ დააარსონ თფილისში საკუთარი კანტორა.

თფილისში საქალაქო საარჩევნო უფლება ჰქონია 4,393 კაცს, ამათგან ქონებრივი ცენზი აქვს 3,834 კაცს, ხოლო საეაქრო 559-ს.

როგორც ამიერ-კავკასიის რკინის გზის ანგარიშიდან ჩანს, 1899 წელს რკინის გზას შემოსავალი ჰქონია 21,957,798 მ., დაუხარჯია 10,285,321 მ. წმინდა მოგება ღარჩენია 10,573,070 მანეთი.

საერო განათლების სამინისტროში ლაპარაკია აღძრული იმის შესახებ, რომ რეალურ სასწავლებლებში ინგლისური ენის სწავლება იქმნეს შემოღებული.

დღემდე, ვინც სახანონო თეატრში ეტლით მივიდოდა, ეტლი ზედ შესავალ კარებთან გადმოფარებულ ქვეშ ჩერდებოდა ხოლმე, რაიცა დიდათ ხელს უშლიდა თეატრში შემსვლელთა და გამომსვლელთ. ეხლა თფილისის პოლიცემისტერმა განკარგულება მოახდინა, რომ ეტლები კარებთან კი არა, ქუჩაში გააჩერონ ხოლმე თეატრის

წინ. ისინი, ვისაც საკუთარი ეტლები აქვთ, სამხრეთ კარებიდან უნდა გავიდნენ თეატრიდან და ჩაჯდნენ საკუთარ ეტლებში.

რედაქციამ მიიღო ყურნ. „ჯეჯილის“ მე-2 ნომერი შემდეგი შინაარსით: დათვი თ. რაზიკაშვილისა. მამაცი შაში, კან-იმერლისა. ძველი მოურავი, ლექსი გ. ბოკერიასი. ლედ-ჯენ, თარგმანი ელ. წერეთლისა. ბეკია და მისი ჯორი, გ. წყალტუბელისა. მადლობის გადახდა, თარგმანი ს. ციციშვილისა. სამი არაკი და გონება, ლექსი ბაჩანასი. გიორგის საფლავეზე, ეკ. გაბაშვილისა. წმინდა გუნდი, ი. გოგებაშვილისა. სპარსეთის მეფე კამბიზი, ა. ყუმისთაველისა. მტრედების გამჭრიახობა, ტასოსი. გასართობი და სხვა წვროლმანი.

მორისკონდონსიში.

ბარცხანა (კინტონის განყოფილება). „ოდელია ბარცხანა, რხერა და მასხრანა“! ასე ასურათებს ბარცხანას არა თუ მარტო ბარცხანელი, არამედ მისი სტუმარიც-კი, რომელსაც იქ, ბარცხანაში, უქეიფნია ან უთამაშნია; და უამისოდ ცხოვრება, ბარცხანელთა უმეტესობას, ვერც-კი წარმოუდგენია ჯერ. ქეიფობა-თამაში ბარცხანელთ თან დაუფლიდ და სუდ შეზრდიდ ჩვეულებად აქვთ გადაქეუელი, ისაა მათი უველაფერი და ამ უველაფერში მხურვალე მონაწილეობას ღებულობს რეგორც დიდი, ისე ზატარაც, რეგორც მოვაჭრე, ისე მუშაც და რეგორც მასშინძელი, ისე სტუმარიც... ცხადია, რომ „უმიზეზოდ არა ხდება-რა“, და ბარცხანაში ქეიფობა-თამაშის ასე გავრცელებასაც აქვს თავისი მიზეზი. ვნახთ...

ბარცხანა, ქარხნებში მომუშავე ქართველ მუშათათვის საცხოვრებლად, ერთი უმასლობელი—უფრო ხელსაყრელი ალაგ-თაგანია. ამასთან წელის სიუხე და სისუფთავე, ჭვარის სიკარკე, სხლის სიიაფე (რასაკვირველია, ბათამთან შედარებით) და ის, რომ აქ უველაფერი სოფელიურია, ხელს უწყობს, რომ სოფელელ მუშათა სიშატის მისკენ იყოს. და ამიტომაცაა, ასე რომ ეტანებიან აქ საცხოვრებლათ. ბარცხანაში მცხოვრები მუშა სრული დამოკიდებულება ქარხნებსუდ და ბარცხანელთა მკვიდრი, მოვაჭრეა ის თუ სხლის მუხატრახე, ამ მუშებსუდ; შემიტრდება ქარხნებში მუშაობა და დაითხოვენ თუ არა მუშებს, ამ დროს შეწვდება ბარცხანელთა მაჯის ტემაც.

აკერ მესამე თუ მეათეე წელიწადია, რომ აქაურ ქარხნებში ხშირად რამდენიმე თვეობით ამცირებენ სამუშეაგანს. ეველასე მეტად ხანგრძლივი ამგვარად მუშაობის შემცირება გასულ წელს იყო. და მუშაობის შემცირება რომ მუშებთან ერთად ბარცხანელთ შევიწროება-შემცირებაა, ეს ჩვენ სევეით დაინახეთ. ამ უსაქმრობის დროს საზოგადო მოწყენილობაა. ეს ასეც უნდა იყოს ნამეტურ ბარცხანაში, რადგან ბათამსუდ სკამად მოშორებულია ბარცხანა და ბარცხანაში-კი (თუმცა ამგვარებით ვერც ბათამი დაიქდება) არაფითარი გასართობი, მისკენ მიმზიდველი და გონების მშვიდებელი დაწესებულება არაა, გარდა სამიკიტნოსაყვეებისა, და აბა სამიკიტნოები თუ რა მხრივ ამუშაებენ განებას, ეს ეველამ იცის. ერთი სიტუვით, დიდი ენკვიის ადა-მიანი უნდა იყოს, რომ ამ სამარისებურ მოწყენილობის დროს რამეს არ ჩაერიოს, და არ სცადოს თხიზელ სინიდაისის წინაშე, არ დაიხრეთ ადკოგოლის სამეფო სამიკიტნოში და აქედან მისი ნათესავები არ გაიხნოს, რიცხვით სამი—სახელდობრ: კარტი, ნარდი და ზარი. ეს უკანასკნელი, მართლაც, ზარი შეიქნა ზოგიერთათათვის, თუმცა-და მხარულეება არც ნარდსა და კარტს მოუტანიათ. აი სდ ნახეს შეკლა აქაურებმა უსაქმობის დროს და სდ ატარებენ საქმიანობის დროსაც.

მე რომ ბარცხანელი ვიყო, ერთ-ერთ დღიურ გაზეთში ასეთ ცნცხადებას დავუქვდავდი: „ვისაც ცსურთ, მობრძანდით

დ. ბარცხანაში ყოველ „ზოგადობით“ (ე. ი. როცა ქარხნებში ფულს ურიგებენ მუშებს, იმ დროს), სხვა დღით—სათამაშოდ, თამაშობა შეიძლება როგორც დღით, აგრეთვე ღამით, როგორც ფულთა, აგრეთვე ნინათ, ვდებულაბთ აგრეთვე: ტანსაცმელს და წელის იარაღებსაც“. ადრესი:—№№.

ჰო! თამაშობა-ჭეიფობას დიდებთან ერთად ზატარებიც ეტანებიან, ბევრი ზატარა ჩაითრიეს კიდევ.

უარყოფილი.

ს. ახალგორი (ქართლი). სოფელს ეძახიან ახალგორს, მაგრამ ეს სოფელი კი არა, ზატარა გაქალაქებული ადამიანებისა და ვაჭრობის სოფელია. ახალგორში სულ ვაჭარი ხალხი სცხვარობს, გარდა ზოგიერთისა, მასრის ექიმისა და თითო-ორი იხე მცხოვრებისა. აქ სცხვარობს 130 კომლამდე კაცი, რომელთაც უმეტესი ნაწილი სომეხია, დანარჩენი ქართველებია. ვაჭრობენ არა მარტო სომხობა, როგორც სომხად ხდება ქართლის სოფლებში, არამედ ქართველებიც; არიან შეძლებული სომხებიც და ქართველებიც, მაგრამ მამულებული ნაწილი-კი ამათგანი წვრილი ვაჭარია. ახალგორელ ვაჭარს ცხვარების ყველა ზირბები ხელს უწყობს, რომ მეურნეობას ან სხვა სოფელურს ხელობს თავი დასებოს და მხოლოდ ვაჭრობას მიჰყვას. ვაჭრობს ის შიგ ახალგორში, ვაჭრობს სოფელდაც. და ამ ვაჭრობით ყოველთვის მოკვება. აი ეს არის იმის მიზეზი, რომ ახალგორი დღეს სარჩო-ქანებით მდიდარია, ეკონომიურად ძლიერი. რა ზირბებმა შეუწყეს ხელი მის ეკონომიურათ გაზრდას?

სოფელ ახალგორს თავის ეკონომიურ განვითარებაში უმთავრესათ ხელი შეუწოდა მისმა გეოგრაფიულმა მდებარეობამ. სოფ. ახალგორი მდებარეობს ქსნის ხეობაზე. მთელი ეს ხეობა აქეთ-იქით ამართულს ქედებს შუა მოქცეული, შუაში ჩამოედის მდინარე ქსანი. ხეობის აქეთ-იქითა კალთები სოფლებით არის დაფენილი, სათავე ამ ხეობის გამადის დიდ ოსეთის მთებიდან. აქ გადის მხოლოდ ერთადერთი გზა, რომელსაც ვერც ქალაქისაკენ და ვერც სხვა ქართლის სოფლებისაკენ მიმავალი ფეხს ვერ აუქცევს. სოფ. ახალგორი გადაჭიმულია სწორეთ ამ გზაზე და უფრო უსწრაფად დასავლეთის მხრივ ოსეთის მთებს. სიგრძით ეს ხეობა დიდა და სოფლებიც ბევრი არტყია; მოძრაობაც არის ყოველთვის, მეტადრე ამ ბოლო ხანს, როცა რკინის გზა გაიყვანეს და სოფელსა და ქალაქს შორის მისვლა-მოსვლა გაადვილდა. ამიტომ დიდ-ძალი ოსობა მიეხეობება აქედან დღეს ქალაქში მოჭამაგირებთან. აგრეთვე, დადგება თუ არა ზამთარი, სოფლის სქმისაკენ მოცდილი, ან გაჭირვებული კაცი მიდის სამუშაოდ ქართლის დიდ სოფლებში, მაგალითად, აჭურები სამუშაოდ მიდის მუხრანში და მიდის აგრეთვე რკინის გზაზეც. დანარჩენ სოფლებში ხომ, რაღა თქმა უნდა, ხშირი სტუმარი არიან. აქედან ცხადია, რომ ვერც სოფლებსა და ახალგორს შორის ადამიანები და ვაჭრობა იმართება. სოფლებს მოაქვთ თავიანთი ნამუშევარი და აქ ჭეიფიან; თავის მხრით-კი ახალგორი აძლევს სოფლებებს ქალაქიდან მოტანილს საქონელს. ამასთანავე ახალგორელები ხან-და-ხან ისედაც მართავენ ხელში „ზატარა ბაზარს“, როგორც, მაგალითად, სოფელივრო ვაჭრობას უწოდებენ აჭურები. ამხარათ, სოფლებები ახალგორელ ვაჭართა კლანჭებში მოქცეული და დღესი-მთი დიდ-ძალი ფულთა გათანტული სოფელია. თითქმის ყველა ოჯახი ცოტათ თუ ბევრად მათგან დავალებული არის. მაგრამ ყველაზე უფროს ყურადღებოთ ის არის, რომ ახალგორელ ვაჭრებს ერთიერთმანეთში სოფლები დანაწილებული აქვთ. ერთი ვაჭარი მეორე ვაჭრის სოფლებს არ

შეეხება, ერთი მეორეს მეტოქეობას არ უწევს და სოფლებს დევ ვინ გაუმართავს ვაჭარსაც ხელს, თუ არა ფულის მქონე ვაჭარი... ასე რომ, ვაჭარი სრულიად თავისუფლათ ხვარდაბს სოფელად. ყველა ამას ხელს უწყობს ის ვარემოებაც, რომ ვაჭარობას ბევრი ვალი აქვს, იმის გასავალი შემოსავლას სჭარბობს და მისი მდგომარეობა-კი არაფრით არ უმჯობესდება. ვინახები ვახმა ვადმეოფობის გამო, სხვა მოსავალიც კლებულაბს და ამიტომ ვაჭრობა თან-და-თან ხვარდა ბატონ მოვაჭრის ხელში. ამ ბოლო ხანებში ახალგორელები თავიანთ ქსნის ხეობით ღარ გამოყოფილებიან და სხარხათ სხვა ხეობებშიც მიემგზავრებიან. მაგ., იმათ შესვლებით თქვენ ქვემო-ქალის ხეობაშიც, სდაც ისინი ხელ-და-ხელ ვაჭრობენ, აგრეთვე ზოგან აქვთ სამუდამო სავაჭრო სხლებიც. ამხარათ, სდაც თვითონ ზირდაზირ ხელი არ მიუწვდებათ, იქ ჰმართავენ ღუქებს, ჭეიფთ გამოცდილი და ერთგული კაცები და ამხარათ ყველგან ვარცხლებენ თავიანთ მოქმედებას. ამათვე აქვთ ღუქები, მაგალითად, მოხსატრში, სამთავისში (ქალის ხეობაში), ოძისში და დამის-კანაში (ქსნის ხეობის ბოლო ნაწილი). ცხადია, სოფ. ახალგორი სოფელი კი არა, ნამდვილი ჩარხთა ქალაქია და ახლო-მანლო სოფლების ხალხს დაჭმარონებია.

გიგუა.

ჩვენი მინაური საქმეები

ამ ათ წელიწადში.

დღეათა სკოლის დაარსების განზრახვა. — სამეცნიერო-ედი. — სახალხო შაურანი წიგნების ვამოცემა. — სხვა-და-სხვა ფონდები. — საკვირაო სკოლები. — სახალხო თეატრი (დასასრული. — იხ. № 7).

დამ სუთი-ექვსი წლის წინათ დიდ მოდმა შემოვიდა სხვა-და-სხვა ფონდებისთვის ფულის მოგროვება; არ ვიცი, მასინ უფრო მდიდრები ვიყავით, თუ რითიმე აღფრთოვანებული; ვინც-კი ხმას ამოიღებდა ამისა და ამას შესწირეთ, მასინვე რედაქციებში გამოგზავნიდენ ფულს: ეს სალიტერატურო ფონდისთვის, ეს სტუდენტებისთვის, ეს ქობულეთის სკოლისთვის, ეს ბარათაშვილის ძეგლით, ეს რაფიელ ერისთავის ფონდი, ეს რაფიელ ერისთავის სახელობაზე ქალების აღსაზრდელო, ეს დავითაშვილის ძეგლისთვის და ვინ ჩამოსთვლის ყველას. მოაწუდა რედაქციებს ფული; რედაქციებმაც აიღეს ეს ფული და გადასცეს „წერაკითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას.“ სათითაოთ ისე ბევრი არ იყო, რომ ან ლიტერატორთა დამხმარებელი საზოგადოება დაარსებულიყო და ან სხვა. „წერაკითხვის გამავრცელებელ საზოგადოებამაც“ მიიღო ფულები და, მგახი, თუ არა ვცდები, ზოგიერთი ფონდები შეკრთა.

ფონდების შემოწირულებაც შესწუდა, ვინც ვადმეოფი და გაჭირვებული ლიტერატორი გუაგდა, მოკვდა (აღ. ყაზიბეგი, ეკ. ნინოშვილი), კრწანისის ველიც ვადქვასწაულეთ, რაფიელ ერისთავის იუბილევ დიდი ამით გადავიხადეთ და მოდალულებმა ამოდენა ადლებით და მოძრაობით მოვისვენეთ. მასინ ჩვენ შეგვრჩა მხოლოდ ერთი ზატარა ფონდი, რომელსაც უწოდებდენ ირაკლის ფონდს. თავდაზირველათ, თუ არა ვცდებით, განსვენებულმა გიორგი წერეთელმა გამოიწვია ამის არსებობა. კრწანისის ველის დღესასწაულს რომ ვინდიდით, მასინ მეფე ირაკლის სახსოვრათ, რადგან მეფე თითონ თანაურძინობდა ევროპის განათლებას, მოინდამეს ისეთი ფონდის დაარსება, რომ ღარბი ახალგაზდა ემსწილს, რომელიც მოინურვებს სალიტერატურო



ასწარესზე გამოსვლას (მეტადრე ჩვენი ისტორიის შესამუშავებლათ), ხელი გაუმართან, დინისიძის მისცენ ერთ ან ორ წელიწადს მთავარს საზღვარ-გარეთ, დააკვირდეს იქაურ ცხოვრებას და მთავრობის მასალა თავისი მომავალ მუშაობისათვის. ამხანაშთ ხელის გამართვა მით უფრო საჭიროა, რომ ჩვენი ლიტერატურა არ აძლევს მათ ლუგა-პურს და მის შესწავლას-ვიტანება ნიჭიერი, მაგრამ უფრო ღარიბი ემსწავლი. სწორეთ ამ დროს ესაჭიროებოდა დახმარება ერთ ემსწავლე კაცს, რომელიც უკვე წასულიყო საზღვარ-გარეთ სწავლის დასამთავრებლათ. აი, ამ სიმართლიერ საქმეს ხალხისთ მოჭვიდეს ხელი უფრო ქალებმა, ერთი მეორეს არ აცლიდა—აგრძობდნენ თუეს, ზოგს თანხით ინახვდნენ, ზოგს უგზავნიდნენ ამ ემსწავლის. მართლაც რომ სიცოცხლე ეტყობოდა...

გვიდა ერთი-ორი წელიწადი. ემსწავლი დაბრუნდა სწავლით აღტურვილი და დღეს თუ ხვალ მთავრობით ხყოფს. ახლა უნდა ამ თუნდის შემწეობით გაკვზავნათ მეორე. მაგრამ მობეზრდათ თანხმობით საქმის გაკეთება. აბა, რის ქართველები ვიქნებოდით, რომ „შენ-ჩემობა“ არ დაგვეწო. ყველა ცდილობდა თავის მეგობრის, თუნდ ძალა-უნებურათ, გაგზავნას. მეთაურნი რაღაც უცნაური შიშით შეიბერენ, სულ ელანდობოდათ, რომ ვიღაც დასელები ხელადან გეგდნენ ამ თუნდისა. ბოლოს გაათავეს იმითი, რომ საზღვარ-გარეთ გაგზავნეს ერთი თავიანთი მეგობარი. ამითი არ გათავდა საქმე. ერთი მეორეს უთავაზობდნენ უფროსობას. ამით თანამგრძობლები მიიფანტ-მოფანტეს: „რას მიქვიან საქმის გაკეთება, რაღაცს ჩვენიანი არ ხარ“, და ვინც იმათი თვლით არ უდქვრდა საქმეს, უკადრისათ იხსენიებდნენ. აი, ჩვენი საქმიანობა. მის აქეთ კარგა ხანია მიხუდდენ, არა ისმის-რა. ვინ იცის ამ საქმეს წევრიადთა შინა განისვენა და იქ-კი, შორს, უცნაურში, რა გორც გასეთით გვაუწყებენ, შიშითი კვდება ნამდვილი სწავლის მწუხრავალი.

არც ერთ საქმეს ვაკრძებთ ისე ხელს არ უწეობდა, რა გორც საკვირაო სკოლების გამართვას. რვა-ცხრა წელიწადია, რაც მართამ არდუთაშვილმა გამოიტანა ნება-რთვა ქალებისთვის რუსულ-ქართულ-სომხურ საკვირაო სკოლის გამართვისა. რადგან ამავე დროს ოღკა კადანოვის კუთვნილ კანსს საკუთრივ რუსებისთვის ქალთა საკვირაო სკოლა, მართამ არდუთაშვილმა მოაწყო თავისი სკოლა უფრო სომხ-ქართველებისათვის. მან იშოვა შენობა ახლისხატის უბანში, მოაწყო შენობურათ სასწავლო ნივთებით და კვლავც უზრუნველ-ჭეო მატერიალურის მხრით. მთურველნიც წერა-კითხვის სწავლის უფრო ქართველები აღმოჩნდნენ, თვით სომხებს, რომელთაც გამოაცხადეს სწავლის სურვილი, უფრო ქართული ეხერხებოდათ და საქმე მოეწყო ისე კარგათ, რომ მხოლოდ კაი მასწავლებლები იყო საჭირო. და აი, ამ ქალმა მიმართა ქართველებს: მოძინდით და ასწავლეთ. ამან მწარეთ დაგვაფიქრა. გვიავს თუ არა მასწავლებელი ქალები? არც მაშინ, არც ახლა, კარდა სამი ოთხისა, ჩვენ ქართველი მასწავლებელი ქალები არა გვიავს (თფილისის ვიკულისხმებთ). ან საიდან გვეყოლება ამ უკუღმართ სკოლების მქონეთ! ჩვენი ქალები თუ მასწავლებლობენ, დროებით, სანამ გათხოვდებიან; ზედაგორეთათ მომხადებელი არავინა გვიავს. ვინც-კი გაათავებს შვიდ კლასს ჩვენ სასწავლებლებში, დარწმუნებულად მასწავლებლათ გამოვდგებიო და რადგან ეს საქმე ზატოვსაც-კი და ფაქიზია, უფრო ამან ირჩივენ მტირე ჯილდოთი, ვიდრე კანცელარიაში სადმე ქალადლების გადაწერას. ქალებს ხუ დააკლდებთ გული. არც კაცები არიან ხეირიანი მასწავლებლები, თითუბზე ჩამოათვლებს მათი რიცხვი და იქნება ბუკნის სფინდისიერათაც ასრუ-

ლებენ თავიანთ საქმეს, მაგრამ ისინი ძალათ ზედგოგები არიან. საქმის სიყვარულს ვინ მოსთხოვს იმათ, ხშირათ ემსწავლები იწვრთნიან ზედგოგიაში. მოხდება ისე, რომ რომელიმე იურისტი, რომელსაც ეჩქარება დაბინავება, შოულობს სადმე სკოლაში გაკეთილებს, ხელს ჰკიდებს დროებით მასწავლებლობას და თან გაიურება შორისკენ—იქნება სხვა საქმე ვიშოვოთ. ამ მოვლენას ისე ხშირათ ვხვდებით, რომ თვლიდ და უფრც შეგვიჩვიას.

დავუბრუნდეთ ისევ ქალების საკვირაო სკოლას. დიდი ვაივა-ვაკლასით გამოიძებს ხუთი-ექვსი მასწავლებელი ქალი და ესენი შეუდგენ, ხშირათ თავდახურულიან, შუახნის ქალების ან-ბახის სწავლებას. არ ზოგავდნენ ჯათვას, ენერჯიას. საქმე, რომ იტყვიან, დულდა და კადმოდოდა. მართავდნენ ყოველგვარ კრებებს ხან ცალკე ქართულს, ხან საერთოთ ქართულ-რუსულს. ზოგჯერ მის შედგენას ახმარებდნენ დროს, ცდილობდნენ გაუკებრათ დაწერილ სტატიებისთვის სახელმძღვანელოში სული ჩაეკათ. არა ერთხელ დავმტკობრავრათ მოსწავლეების სიმღერით, ლექსების თქმით, თვით წარმოდგენითაც. დასტრიალებდა მართამ არდუთაშვილის ქალი სკოლას, სიყვარულით ამოძრავებდა საქმეს. ჩვენი ქალები, თითქმის ანერციით, გვერდთ უდგენ და უადვილებდნენ საკვირაო სკოლას მიზნის მიღწევას. გვიდა დრო... არდუთაშვილის ქალმა შინაური საქმეების გამო მიატოვა სკოლა და მოეშვენ ჩვენი ქართველი ქალებიც, ხელმძღვანელი აღარა ჰქავდათ და ერთი აღთას იწეოდა, მეორე ბალთას. შშრომლები ისევ ისინი იყვენ, ხელმძღვანელი ვერ იშოვეს და საქმე უკან დაიწია. შემინდენ სკოლის კეთილ-მსურველნი და მოაწვიეს ხელმძღვანელათ ენერჯიით ცნობილი ქალი მ. დემურია. ამან ცოტახანს გააცოცხლა საქმე, მოაწვია უარებელი ქალები მასწავლებლათ, მაშინ მასწავლებლებიც ბლამთ მოემტა და განაღდა საქმე. სკოლის ასეთმა მდგომარეობამ ერთ წელიწადს გასტანა. მაგრამ საქმე ახვანა, რომ საკვირაო სკოლის ხელმძღვანელობა აკრე ადვილი არ არის. ამ შიში საქმის წასაყვანათ საჭირო იყო დახელოვნებული ზედგოგი, განვითარებული, მცოდნე ზირი. მ. დემურიამ დაინახა, რომ მარტო საქმე იმაში-კი არ არის, კალთის ხეობით მიიყვანათ მასწავლებლათ რომელიმე ქალი, არამედ სიყვარულმა ცოდნისათან ერთათ უნდა ამოძრავს საქმე. ის თითხვე კადგა განზე. მის აქეთ, ზირველ ხანებში მასწავლებლებურნი იყვენ და მასწავლებლები, რა გორც მოსალოდნელი იყო, გაითანტენ. ახლა, ამბობენ, მასწავლებლები მიეხვიენ საქმის გამოსაბრუნებლათ, მაგრამ მასწავლებლები აღარ არიან... აქ უნდა შევნიშნოთ, რომ ორი-სამი მასწავლებელი ამ საკვირაო სკოლის დაარსებიდანვე არ მოშორებიან ამ საქმეს.

ჩვენი კაცებიც არ ჩამორჩენ ქალებს. ამ ხუთი წლის წინათ სათავადა-ხანურ სკოლის მასწავლებლებმა და ორიოდ კარემე ზირმა მოინდომეს ვერის წმ. ნიკოლოზის და ქაშუთის ეკკლე-სიებთან ვაყებისთვის საკვირაო სკოლის დაარსება. მართლაც, ადვილათ მოუყარეს თავი მასწავლებლებს და დიდი გულმოდგინებით მიჰყავდათ საქმე. მართავდნენ კრებებს, არჩევდნენ ერთმანერთის გაკეთილებებს. ერთი სიტყვით, განაღდა საქმე, მაგრამ გავიდა ხუთი-ექვსი თვე (მაინც ძნელათ გავიტანთ საქმეს წლამდე), ატუდა ერთმანერთში უთანხმოება, აზრების შეჯახება—„არის მხანსტერი“, ზოგმა მიატოვა თფილისი, ზოგმა ამჯობინა კვირაობით განცხრომაში ყოფნა და გაითანტენ ჩვენი მასწავლებლები. სწავლის მოსურნენი დიდხანს დაეძებდნენ თავიანთ მოძღვრებს და ის იყო ესენიც გაითანტებოდნენ, რომ ორ ზედგოგ-მასწავლებელს ალექსანდროვის ინსტიტუტის მოწაფეების დახმარებით თავს არ ედოთ ამ საქმის განგრძობა. ერთმა ისევ ვერის წმ. ნიკოლოზის ეკკლესიის სკოლაში განაგრძო სწავლება და მეორემ

იქვე ახლოს, იანე ხათლის-მცემლის ეკლესიის სკოლაში. ახლას ამ ორი სკოლის ბედი-ბედად არის დამოკიდებული ამ ორ კაცზე, ესენი ერთმანერთს არც-კი სედავენ, ხელთ სჯიმე სიყვარულითა და თავდადებით მიხედავთ. რაცა ზოგიერთმა ზიკრებმა მოინდომეს საქმის გაფართოება და გაცხობელება, საზოგადოება გულ-კრლათ მოეკიდა, არც ერთი ზედაგოვი არ მიეკარა ამ საქმეს და რამდენს ხანს გასტანს ეს სავეირაო-სკოლა ამ მდგომარეობაში—ვინ იცის!

მე მსურდა სხალხთა თეატრ-სედაც დამეწერა რამდენიმე სიტყვა, მაგრამ ამ ბოლო დროს მეტად ბუერს ღანძრავობენ და სწერენ მის შესახებ. ეს საქმის სიტყვების ნამდვილი ნიშნისა და მე-კი ჩემ შინაშენებში მხალხოდ ჩვენი საქმეების უსიტყვობას ვამხელ.

მათუსალა.

რ უ ს ე თ ი ს ს ხ მ უ რ ე მ ბ ა .

ზახეთ „ადვისის ფურცლის“ რედაქტორ-გამომცემლის ბ. ნაურცის ინიციატივით, შრომით და ენერჯით ქ. ოდე-საში აუგიათ დარბ ლიტერატურათვის ზირველი თავ-შესაფარი. ეს მეტად სიმბატური დაწესებულება მოთავსებულია გოტურ ღამის სსსხლეში და მშენებრად არის მართულ-მწყობილი; იქვე იქნება მოთავსებული წიგნთ-საცავ-სამკითხველო და სხვა. ეს თავშესაფარი დამჯდარა სი-ათას მანეთადის და იმისი კარი ღიაა განურჩევლად ყველა დარბ ლიტერატურათვის.

◆ **გაზ. „НОВ.“** გაუგონია, რომ სდგება დიდი ინგლის-რუსული სინდიკატი რუსეთში რკინის გზების გასაფანად, ქარხნების ასაშენებლად და მანების სათხრელად. ამ საქმეს თავში უდგა ვანდერბილი.

◆ რადგანც ყოველწლივ მატულობს მთა-მანუელობის წარმოების საქმე, მიწათ-მოქმედების სამინისტრომ 8,000 მანეთის მაგიერ, რომელსაც იგი ინდიდა სამთო-გეოლოგიურ გამოკვლევისათვის, როგორც ამბობენ, ყოველწლივ უნდა გადასდოს 35,000 მანეთი.

◆ ხარკების გუბერნიაში ფაბრიკა-ქარხნების რიცხვი ადის 1000-მდის. ამ ათას მექარხნეთა შორის წარსულ წელს თავის მუშებისთვის მოწესრიგებით გასართობები. ეს გასართობები შესდგებოდა სხალხთა კითხვისსაგან. ყოველ კითხვის დროს დაწერებან 250—300 კაცმდის, რაც ამტკიცებს, რომ დიდი მოთხვნისებობა ხალხში ამგვარ გასართობებისა.

◆ ფაბრიკის უფროს ინსპექტორთა მომავალი კრება კიევში სხვათა შორის გაჩვენს იმ დრო-ყამით მომწიფებულს კითხვას, რომ ადარ ხდებოდეს კომისიონერთაგან მუშათა ექსპლუატაცია, რადესაც იტყუნ მათ შაქრის ქარხნებისთვის.

◆ სერო განათლების მინისტრის ბოგალეზოვის დამტრელი ზეტრე კარბოვი ყოფილა ბერლინის უნივერსიტეტის სტუდენტი. ის ორჯერ დაუთხრავიათ რუსეთის უნივერსიტეტებიდან სტუდენტთა არეულობაში მონაწილეობის მიდებისათვის. დაჭრილის ჯანმრთელობა ჯერ გამოურკვეველია: ტუვია ძვალთან არის გაჩერებული. გარეგანი ჭრილობა თითქმის მოურჩა, სუნთქვას და სკმლის მიდების-კი უშლის. რუსეთის ყველა სასწავლებლებში ზარკლისს ინდიან მინისტრის განკურნებისათვის.

ს ა მ ლ ე ა რ გ ა რ ი ე თ .

მგლინი. ტრედ-უნიონთა კონგრესმა დებუტაციები გაუგზავნა სამ მინისტრს ბალფურს, ლახვს და ჩემბერლენს იმ დო-

ნის-ძიებაზე ურადლების მისაქვევით, რომელიც ოფიციულ მინისტრს შეუძლიან ინმარეს მუშათა მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ. ერთი დებუტაცია თხოულობდა, რომ ყველა რკინის გზებმა გაიმრავლან ათუ-ათასიანი მატარებლები, რადგან ათათ წასვლა-წამოსვლის შემწეობით მუშათათვის შესაძლებელი შეიქნება ათთ ბინების დაქირავება სამუშაოდან მოშორებით; მეორე დებუტაცია თხოულობდა, რომ 60 წლიდან 100 წლამდე გაგრძელდეს იმ სესხის გადახდის ვადა, რომელიც ქალაქის გამგეობამ აიღო მუშათათვის სხლების ასაკებთ. მესამე დებუტაციის თხოვნა იმაში მდგომარეობდა, რომ სახელმწიფო მოიჯარადრეთ ჯარბმა გადახდეთ არა ხაკლებ 5%-ისა სიჯარო ფულიდან, თუ მათ მუშებს დაწესებულ ქირსზე ცოტა მისცეს ან დაწესებულ დროზე მეტი ამუშავეს და სხ... ამ მოთხოვნისებობათგან ჯერ-ჯერობით მხალხოდ მესამე იქმნა დაკმაყოფილებული: მინისტრმა თხოვა დებუტაციას. მცნობეთ ხალხე ყოველივე ბორტ-მოქმედება მოიჯარადრეებისათ და დახინდა, რაცა მათი ბორტ-მოქმედება თვალ-სახინო ადმინდება, მე მათ მოვეუხებ ან სამუდამით ან დროებით სახელმწიფო იჯარის ადების უფლებასო.

საფრანგთი. საფრანგეთის ზარკამენტმა უკვე გადასდო კონგრეგაციების შესახებ კანონ-პროექტის განხილვა და შეუდგა სჯა-ბასის სხვა პროექტების შესახებ. სხვათა შორის, საყვრადლებოა ეგრედ წოდებულ ს.მრეწველო სასამართლოების ცვლილების პროექტი. ეს სასამართლოები არჩვენ დავას მუშათა და მათ ზატრანთა შორის დაქირავების ხელშეკრულობის გამო. ეს სასამართლოები არჩვენებით სდგება ხაკურათ ზატრანთაგან, სახეგრათ მუშათაგან; ამისთან, თუ თავმჯდომარე მუშათაგანია, მისი ამხანაგი უთუოთ მეზატრანეთაგანი უნდა იყოს და ზირ-იქით. პროექტით განზრახული ცვლილება უმთავრესათ იმაში მდგომარეობს, რომ სსენებულ სასამართლოებს უნდა დაქვემდებარან ყოველგვარი მომუშავენი და მეზატრანენი. მკ., რკინის გზისა, საჯარო საქმეთა, ხაზინის, ქალაქის და სხვა საზოგადოებრივ დაწესებულებათა მოსამსხურენი და საზოგადოთ ყველა ისინი, ვინც „ჩინოვნიკათ“ არ ჩაითვლება. ამისთან ქალებს ეძლევათ არჩვენების უფლება და სხ.

საფრანგეთის მუშათა ზარტიის მოავრმე კომიტეტმა ამ დღეებში გამოაქვეუნს სასტიკი პროტესტი ჩინეთის ომის წინა-ადმდეგ. პროტესტში სხვათა შორის სათქვამია: „გაგის კანფერენციის გადაწვევითლებანი ვალდებულს ჭინდის ყველა სახელმწიფოებს „არ აახრან იერბით ადებული ქალაქიც-კი“. „ადამიხურათ მოქტენ ტუვეებს“, „არ დასტრან მტერი იმ შემთხვევაში, რაცა ის იარადს დაჭურის ან რაცა თავის დაცვა ადარ შექდება“, „არ გამოაცხადან, არავის არ დავინდობთ“ და სხ... მერე-და როგორ განხორციელდა ყველა ეს გადაწვევითლება? ყველა ადებული ქალაქები ახრებულ იქმნა, მთელი კვირობით და თვეობით; ტუვეებს ან ხგრეტდენ, ან ხმტებით ასახინებდენ, ან თოფის კანდახებით ხოცავდენ... აფიცრები და მისიონერები რამდენიმე დღის განმავლობაში აურბულ სიმდიდრეს იძენდენ. იმ დროს, რადესაც ერთი ჯარის-კაცი ძარცვავდა მტერს, მეორე ზატრან ბალდებს ხმტის წვეტზე აკებდა; მესამე ქალებს აუბატოურებდა და შემდეგ ჭხოცავდა, და ეს მხეგები თვითონ აღიარებდენ ყოველსავე ამას მრავალ წერილებში. ამ ჟამთ ახალი ექსპედიცია უმზადება შინში წასასვლელათ, ე. ი. უმზადება ისევ ხალხის დასახრცათ, გასაძარცვავათ და გადასაწვავათ. მუშათა ზარტიის მოავლეობა პროტესტი გამოაცხადან ომის გაგრძელების წინა-ადმდეგ. საუღრები დიდი ხანია უმიძარ მდგომარეობაში არიან და ჩინეთი დიდი ხანია ზავს თხოულობს...



რას სჯობს უკეთეს ეს განუწყვეტელი ექსპედიციები, თუ არ ხალხის გასაძრვავათ და დასახრავათ, ან ახალ ადგილების ხელში ჩასაგდებათ?..“

— სახნის მთა-მანძებში დიდი არეულობა მომხდარა. მუშებმა ადგილს მუშაობა და მოთხოვნები წარუდგინეს მანძების დირექტორს დღის ქირის მომატების შესახებ. მეორე დღეს გაფიცულნი ქალებითა და ბავშვებით ერთად წაფიცეს საშუალო ადგილებისაკენ მუშაობის სრულიად შესწრაფებად. ერთ ქალს მიჭქნდა წითელი დროშა და ხალხს წინ მიუძღოდა. გზაზე დახვდა ზოლიცია, რომელიც ქვის სრულიად და ხელდასჯელ შეტაკებით მოიშორეს. მხალხად ჯარის-კაცთა თოფების კანდახებმა გაფანტა აჯანყებულნი. ზარიან ნაციონალისტური ზრეს დიდათ გახარებულა, აი, მილიტარის სამინისტრომაც-კი მუშათა აჯანყება ხდება... მაგრამ მეორე მხრით უნდასწავლოს, რომ სწორედ ამ სამინისტროს წყალობით არის, რომ სისხლი არ დაიღვარა, მკვლელობის დროს უთუფად რამდენსამე მუშას მოკლადენ და ბევრს დასჭრიდნენ...

იბალია. იტალიის სამხრეთ ნაწილში, ნარდოში, უსაქმოდ დარჩენილ ხალხს არეულობა მოუხდენია. 975 გლეხი შესულა ერთი მილიტარის მიწა-ადგილებში და თავის ნებთ დაუწყიათ მუშაობა. საღამოს მისუღან ზატონის სასახლეში და დღის ქირა მოუთხოვათ. ზატონმა არ მიუცია, რის გამო დიდი ჩხუბი ამტყდა და ზოლიციას გლეხების შეთარება დაუტყვევებია. ამის გამო ორი-ათასზე მეტი კაცი შეგროვდა, ზოლიციის შენობას დასცემიან და დაჭრიდნენ გაუნთავისუფლებიან. მხალხად მოწვეულ ჯარის-კაცებმა შესძლეს წესიერების აღდგენა.

— იტალიის ზარდაშენებში კანონით არის დადგენილი, რომ ახალ არეულებს დაეუტატოს მეფის ერთგულებაზე ფიცი უნდა მიიღოს. ეს გარემოება ხშირად იწვევს დაფიციანებს დაეუტატებს შორის. მაგ., ამას წინათ დაეუტატათ არეულებს რესპუბლიკანულმა ბარონადი ფიცი მიიღო, მაგრამ ამისთანავე გამოაცხადა: ჩემი დაფიცება სრულიად არ მაძილებს დროშა რესპუბლიკის უარყოფა და შეფიცი ვიწმინდა, ზირიქით, მე ამიერიდანაც ისე ვიმტყმებ რესპუბლიკის შემოღებისათვის, როგორც აქამდის ვიმტყმობდი. ამ სიტყვებმა დიდი არეულობა გამოიწვია შემარჯვენეთა შორის და მოწინააღმდეგეთა. ასეთი ამბავი ხშირად მეორდება იტალიაში. რაცა ცნობილმა რადიკალმა კავალტომ ფიცის შემდეგ სიტყვის თქმის ნება ითხოვა, არ მისცეს; მან გახუტებში წერილი დაბეჭდა, რომელშიაც ამბობდა, რომ ნაძალადევი ფიცი არ ბეჭავს ადამიანის სუნიდის და ამისთვის მისი ასრულება სავალდებულო არის. ამის გამო ამ ფიცს აქ ფორმულათ უტყქიან და როგორც რესპუბლიკელი, ისე სოციალისტი, სიცილით ასწვენ ხელს და წარმოაქმენ ფიცის თავს: „ვიმტყმებ მეფის და ერის საკეთილ-დღეობათ“. ისინი მუდამ თხოულობენ ამ ფიცის თავში სიტყვა „მეფის“ მოიშალოს, მაგრამ ამათ.

ისპანია. ამ სახელმწიფოში ჯერ კიდევ არ დამტყნდა ხალხის მღელვარება კლერიკალებისა და მთავრობის წინააღმდეგ. ვადენისაში აჯანყებულებმა იერიშით აიღეს მონასტერი, რომელიც იესუიტებს ეკუთვნის. მონასტრის ჭისკარი გასტყეს. უნდადარშებს, რომელნიც მონასტრის დაცვას ცდილობდნენ, ქებები დაუშინეს; უნდადარშებმა თოფების სრულიად უნდასწავლოს. ამ შეტაკების დროს ერთი კაცი მოკლულ იქნა და მრავალი დაიჭრა. — დიბურალები თავიანთ სულ მცირე მოთხოვნებიდან აცხადებენ ისეთი კანონის გამოცემას, რომლის ძალითაც უმეკვიდროთ კარდაცვალებულ ზირთა სიმდიდრიდან განსახდგროული ზოგნიტი მოხმარდეს დიბურალორ სახალხად და საშუალო სკალების დარ-

სებას.—საქმე იქამდე გამწვავებულა, რომ, როგორც დაეუტატოს იუწყება, სამინისტრო სამსახურიდან გადამდგარა და დედაფაქს ვილავორდესთვის მიუხდვია ახალი კაბინეტის შედგენა.

ინგლის-ბრანსვალის ომი. უკანასკნელი დღეებში უნუგეშოდ გვიხატავენ ბურების მდგომარეობას. თუმცა გავრცელებული ხმა, თითქო ბოტას იარალი დაეყაროს, არ მტკიცდება და დევეტიც და შტეინიც ჯერ ხელ-მეუხებელნი არიან, მაგრამ, თუ დღეებებს დავუჯერებთ, ბურების ჯარი იმდენათ დაუძლიერებულა, რომ ამ ბოლო დროს თითქმის ყოველ შეტაკებაში მარცხდება. ბურებო, იუწყება დღეებში, ყოველ დღე ტყვედ მიჰყავთ, ან თითონვე ჰყრიან იარაღსო. კაპის ახალშენი გაუწმენდათ ბურებისაგან, რომელთაგან 200 კაცი ინგლისელთ ტყვედ წაუყვანიათ, დანარჩენები-კი გაუფანტავთ. კიტჩენერის ჯარს თავს დასხმია ბურების ჯარი, რომელიც რიცხვით მანე მეტი ყოფილა, მაგრამ იძულებული გამხდარა დაეყარა იარალი და 20 კაცი მოკლული და დაჭრილი დაუტოვებია ბრძოლის ველზე. ერთად ერთი სანუგეშო ამბავი ბურებისათვის ის არის, რომ შტეინსა და დევეტს 1500 კაცით ორანჟის მდინარეზე გადასვლა მოუხებრებიათ, მაგრამ, როგორც მნახველი იუწყება, შტეინი ძალიან შეწუხებული სჩანდა და მთელ ჯარს საშინელი შიმშილისტანჯავდაო. ომის დაწყებიდან დღემდის ინგლისელთ დაუბოცეს 664 აფიცერი და 13137 ჯარის-კაცი.

ჩინეთი. აღსრულდა სახელმწიფოთა სურვილი: მათი მოთხოვნებით და ჩინეთის მთავრობის ბრძანების თანახმად თავი მოჰკვეთეს თავადს ჩეისინს და ხუჩენს; ამას გარდა თავი მოიკლეს, სახელმწიფოებისავე მოთხოვნით, იუნსინმა და ჩუაოჩოჩიამ. მაგრამ ამას არ სჯერდებიან სახელმწიფოთა ელჩები და ახლა მოითხოვენ კიდევ თორმეტ მაღალ მოხელეთა სიკვდილს და აგრეთვე პროვინციების 90 მანდარინის სასჯელს. საზოგადოთ საარაკოა ელჩების შეუბრალებლობა. რადგან მოლაპარაკების გათავება გვიანდებოდა, ამის გამო ისინი მუდამ დასასჯელ ექსპედიციების გაზავებით აშინებდნენ ჩინეთის მთავრობას და კიდევ აზავნიდნენ მათ პროვინციებში სისხლის დასაღვრელათ. ამ ბოლო დროს-კი დღეებში ცოტა სანუგეშო ამბავიც მოიტანა ჩინეთიდან: მოლაპარაკების საქმე კარგათ მიდის და ამის გამო შესაძლებელი შეიქნა კომისიის დანიშვნა საზავო ხელ-შეკრულობის მრავალ თვალსაჩინო მუხლთა შესრულების თვალ-ყურის სადევნებლათო; შეთანხმების მოხდენას ამ ჟამათ მხოლოდ ის მუხლი აბრკოლებს, რომელიც სავაქრო ხელ-შეკრულობის გადასინჯვას შეეხებაო და სხ.

ცოლი და ქმარი

მოთხრობა ევ. ნინოშვილისა.

(შემდეგი. იხ. № 8).

მინ მისვლის დროს სამსონას გამოეგებნენ ნათესავები და მეზობლის ქალები და მიულოცეს „ბედი“. ქალებში ერთი მატრონეც თავისებური ცქრიალა მიხვრა-მოხვრით. სამსონა დაღონებულად და მოკლედ ეუბნებოდა მადლს. როცა მატრონეს შეხედა, კინაღამ გული არ წაუვიდა.

— შეილო, ბიჭი კვტარია, ენას ძვილაი ჩივა!— შენიშნა წამსვე თინათინმა.

— რაჲა მოზორდი ასე ახალ დანიშნულს?— ჰკითხეს ქალებმა სამსონას.

— აქამდი თუკი ვძლებდი უმისოდ, ახლა რაღა?— თქვა დაღონებულის ხმით სამსონამ.

თინათინმა საჩქაროდ გაიხმო ცალკე სამსონა.

— რაფერაა საქმე?

— დამღუპა ანამ და იგია, მეტი რაი! რაჲაც გამკვარტლული კერიეი, იმისიშავეა ჩემი ცოლი!— უბასუხა სამსონამ.

— შეილო, რაჲა მოჰკტომია გული!— წამოიძახა თინამ და ძალად აიძვილა გული.

ამასობაში სამსონთან მივიდნენ კიდევ დედა და და.

— რა ამბავია, ბიჭო, რაჲა მოწყენილი ხარ?— ჰკითხა ანამ.

— აბა, შენ რომ ანგელოზი გამომირჩიე, სიხარულით ფრთები რეიზა არ მასხია!— მწარედ მიუგო სამსონამ.

— რაა, გონჯია?

— შენ სტორეთ იმისთანაი გეკადრებოდა რძლათ!

— ჩემო რძლო, ყოლთვის ასე იცოდი შენ: არც სხვას დაანებებდი საქმეს და ვერც თვითან იზამდი. წადი ქალი ნახე და კაიაო. ახლა, აგია, ქე მოხარჩვია ბაღანას გული!— უსაყვედურა თინამ ანას.

— ბიცოლაჲ, აი საქმე რომ კაი გამომდგარიყო, შენ ჯავრით მოკტებოდი. ნენამ რომ იი ქალი ნახა, მერე შენ შენს კქუაზე აღარ ხარ.— უთხრა ასმათიმ თინას.

— რაჲა, მე მოვკტებოდი ჯავრით, სამსონაის ცოლი რომ კაი ყოფილიყო, მე! ლევანტიეი და ასმათაი რომ წამეიზარდა, მერე მე ამ ოჯახში აღარ მედგომებოდა, მარა მე, სულელმა, მაინც ვერ გვეყვარე! რა მიტხრა აგი?— აქ თინათინ მოჰყვა ტირილს.

ასმათი და ლევანტი მართლაც რომ პატარაობიდანვე არ იყვენ თინათინთან კარგად განწყობილნი, — ლევანტი დასცინოდა თინათინს, ასმათი-კი ერთ სიტყვისაც არ შეარჩენდა ისე, რომ პასუხი არ გაეცა. მშობლები ტუქსავდენ უმცროსს შეილებს, სამსონა, სანამ დიდები არ გახდნენ ასმათი და ლევანტი, სცემდა კიდევ ასმათ თინათინის ხათრისთვის და ამით უღლებოდა თინათინს გული.

ასმათის სიტყვები არ იყვენ უსაფუძვლო. თინათინს საზოგადოდ ყოველთვის საწყენად ჰქონდა, როცა საოჯახო საქმეს სხვა გაუხდებოდა მეთაურად, მას უხაროდა, თუ ის საქმე, რომლის მეთაური თითონ არ იყო, ცუდად შესრულდებოდა. მხოლოდ ყოველთვის წყენას ბოლომდე მალავდა და როცა საქმეს წამხდარს დაინახავდა, მაშინ გამარჯვებულად სთვლიდა თავის თავს და ნიშნ უგებდა საქმის მეთაურს. თავის გაზდილი სამსონას ცოლის შეერთვა რომ სხვისი მეთაურობით ხდებოდა, ეს მძიმე შეურაცხყოფა იყო თინათინისთვის. ახლა, რომ შეიტყო, სამსონა კმაყოფილი არ არის დედა მისის ნამოქმედი საქმითო, თინათინმა გამარჯვებულად დასთვალა თავის-თავი და, ის იყო, გადაჰკრა სიტყვით მათრახები თავის რძალს, ანას. მაგრამ ანას არ უყვარდა, როცა ნიშის მოგებით ელაპარაკებოდნენ.

— ჩემო რძლო, შენ სიცოცხლეში გველობ, მარა

მე ზედაც არ შემიხცდავს შენი გველური საქციელიზა, ახლა ამ საქმეში შენებურა გველსავით არ დეიწყო სისინი, თვარა ძალიანი ავით დაგინთები, იცოდე!— უთხრა გაჯავრებისაგან გაფითრებულმა ანამ თინათინს.

— რაჲა, მექადნი გაგლახაო? მოი, გამლახე, ვინ გაკავებს, შემახმეს ხელი, თუ შეგებრუნო. აქამდი, ჩემს ქონებას რომ ყლაპავდით და მეც თვითან თავზე გვევლებოდი, შეილს გიზდიდი, კაი თინაი ვიყავი და ახლა რაღათ გინდებვარ, მოწითული ქალიშვილი მოგესრა, აგერ რძალს მეიყვან კიდევ, მეც ვიცოდი აწი აღარ დამაყენებდით.— თქვა თინათინმა და მოუმატა ტირილს.

— შენ ვინ გკითხავს, შენ ღდინ-ძაღლო, ჩემ საქმეში ჩარევას!— დაუყვირა გაბრაზებულმა სამსონამ დას.

ასმათმა ხმა არ გასცა ძმას. სამსონა ახლა მობრუნდა დედისკენ.

— ანავ, შენ რომ ძაღლათ არ მიგაჩთე, ჩემ გამზდელს დღეს ასე არ გალახავდი. მარა მე ძაღლათ მიგაჩნივარ, შეილათ არა!

— გაჩუმიდი, ნუ ყვირი უთავბოლოთ!— გაუწყრა ანა შეილს.

— ასე ხომ? დასტურ ძაღლი ვიქნები, მე რომ იმ ქალს შევირთავ!— დაიფიცა გაბრაზებულმა სამსონამ.

— აჰა, გეიხარე, ჩემო რძლო, ამის იყო შენი ტირილი. ახლა გეშველა, აგისრულდა გულის წადილი!— მიაცხა ანამ თინათინს.

— ბარემ მოი, გამლახე, მოი-მეთქინ.— ქვითინებდა თინათინ.

— ძაღლი ვიქნები, ძაღლი!..— ყვიროდა დამთვრალსავით სამსონაი.

მეზობლის ქალებმა, როცა გაიგეს უსიამოვნო ლაპარაკი მოხდაო, წავიდნენ თავიანთ სახლებში.

კარგა ხანს გასტანა წაბლაძისას ურთიერთ შორის მონდურობამ: თინათინ და სამსონა არ ელაპარაკებოდნენ ანას, თავის მხრივ ასმათი არ ელაპარაკებოდა სამსონას და ბიცოლა თინათინს. ლევანტი, რომელსაც ძლიერ უყვარდა დედა და დედსაც ის განსხვავებით უყვარდა თავის შეილებში, რამდენიმეჯერ წაეჩხუბა ბიცოლა ანას და თავის ძმას, სამსონას, და შემდეგ მოსვენებას არ აძლევდა თინათინს გესლიანი დაცინვით. ესიკაი, როგორც ოჯახის უფროსი, ცდილობდა საქმის მოშოშმინებას, ხან თავის ცოლსა და შეილებს უწყრებოდა, ხან თავის რძალს, თინათინს, ეხვეწებოდა „ყაზირალების“ სიტყვას ყურს ნუ ათხოვებო, მაგრამ ვერას გახდა. ესიკას სამწუხაროდ ჰქონდა, რომ სამსონას ცოლის შერთვის საქმე იშლებოდა. ესიკამ თავის ხელით მიართვა რძალს ნიშანი, იმდენი სიტყვა დახარჯა ზალიკასა და მის მეუღლესთან, რომ თქვენი დამოყვრება ძლიერ გამიხარდაო და სხვა და ახლა ყველა ამაო გამოდგა! რა უნდა ეთქვა ესიკას, როცა გადაღმელიძეებს შეხვდებოდა? რით უნდა ემართლებია თავი! მერე კიდევ სარძლოც მოსწონდა ესიკას, — კაი მეოჯახე ქალი იქნება, ისე ეტყობაო.

თინათინს ერთხანს ვითომდა არ უნდოდა სამსონასაგან საცოლოდ დანიშნული ქალის შესახებ ხმის დაცრა. მაგრამ აღარ მოუთმინა გულმა და დაუწყო სხვადა-სხვა ცნობებს ზიდვა: „თურმე კაი ოცდაათი წლის ქალია“; „თურმე ამას წინათაც ბარე სამჯერ დანაწუნები ყოფილა საქმროისაგან“; „ვინცხა ბუში-ბიჭი ყოფილა



იქინეი და აი ჩვენი სარძლო და იგი ბუმი ისე დამოწი-
ფულდენ, რომ ქე ვგდენ ტყეში და ღრეში მარტუაი,
უპატრონოთ“; „იმისთანაი თიაქარი შკირს თურმე, რომ
რომ დიემართება ბნელდასავით გააგორებს, ზოგი იმასაც
ჩივა ბნელა სკირსო“. ვინ მოთვლის კიდევ რამდენი ამის-
თანა ცნობები მოიტანა თინათინმა სამსონას დანიშნუ-
ლის შესახებ. იმდენს ეცადა თინათინ, რომ დაარწმუნა
ესიკა და მისი ოჯახობა,—გადაღმელიძის ქალი სამსონას
საკადრისი არ არისო. ახლა ერთმანეთშიაც მორიგდენ
ესიკას ოჯახობა. „ბეჩა, მაცათ ჰაწაი და ჩემს სამსონას
იმისთანა ქალს მოვეგვრი ცოლათ, რომ ჩვენ საყდარზე
იმისთანაი სხვაი ვერ გვეიდეს!“—ამბობდა გამარჯვებული
თინათინ. მხოლოდ ანნა იყო ძლიერ დაღონებული: „რა
ვქენი აი მე უბედურმა ამ სიკვდილის დღეს! გასათხოვარ
ქალს თავი მოვსჭერი, ესე ქვია. საღ წუთუდივე ამისისხო
ცოდვას! რა მიჭირდა იმის სანახავათ წასვლამდი ფეხი
მომტეხოდა!“—ეუბნებოდა ის თავის თავს.

IV.

რამდენიმე დღე-ღა დარჩენილიყო ხსნილი, შემდეგ
დაიწყებოდა ქრისტეშობის წინა გრძელი მარხვა. ზალიკა
გადაღმელიძისას ისეთი ქორწილი გაეჩაღებიათ, რომ სი-
მღერისა და თოფის სროლის ხმა ახლო-მახლო მდებარე
სერებს ანძრევდა.

— ამფერომ, ზალიკავ, რომ სირცხვილი არ ქამე ამ
სიბერის დღეს! შეაშინა და იმით აწერიებს ჯვარს!—ამ-
ბობდენ მეზობლობაში.

— შეაშინა არა, იგი! გვზითი მუჟმატა და იმით
დეყაბულაო ჩივიან,—ამბობდენ ზოგიერთები.

— რაცხაით იყო, საქმე კი შეასრულა, სირცხვილი
არ უქამია და მეტი რა გინდა!—პასუხობდენ პირველები.

— არც გვზითს შეეძლო რამე და არც ძალას, ბე-
დი, ბედის საქმეა ყოლიფერი. ვინც ვისი ბედია, არ
ასცილდებოდა,—ამბობდენ მესამეები.

როგორც იცით, მკითხველო, სამსონა წაბლაძემ დაი-
ფიცა, რომ გადაღმელიძის ქალი, მელანია, არ შეერთოს.
ამ ფიცს ძირს უმაგრებდა სამსონას გამზრდელი თინათი-
ნისგან მოტანილი ცნობები მელანიას შესახებ. მშობლე-
ბიც აღარ უპირდებოდენ სამსონას გადაღმელიძის ქალის
შერთვას. მართალია, ანნა ძლიერ იტანჯებოდა—რატომ
შომივიდა ასეთი ცუდი საქმეო, ავადყოფობაც გაუძლიერ-
და ანნას ამ საქმის შემდეგ. ესიკასაც ძლიერ სცხვენო-
და—აწი რაფერ შევხედო ზალიკასო. თინათინმა კიდევ
ამოარჩია სამსონასთვის საპატარძლოდ ერთი შორეული
ნათესავი ქალი. მაგრამ ამ დროს გაიფეს ზალიკას ქაღი-
ლი, რომელმაც ძლიერ დააფიქრა წაბლაძის ოჯახობა.—
„ბეჯითათ შეიღს მომიკლავს ზალიკაი! მემართლება და
მიზამს! რა ვქენით აგი!“ ამბობდა შეშინებული ესიკაი.
მაგრამ ვაჟკაცს სამსონას ზალიკას ქაღილი ბუზის ბუზი-
ლადაც არ მიიჩნდა. „გაჩუმდეს იგი ბერიკაცი, ჯობს,
თვარა კბილით დავატყვერიებ იმ მის ნათოფვესო“, ამ-
ბობდა ის. ცოტა ხანში თინათინსაც მოუვიდა ამბავი:

„ზალიკაის ცოლი, ფატმანე, ასე ჩივა, სადაც შევხდები
იმ მოქვის ტოლ დედაბერს, უსიკვტილოთ ვერ გადამი-
რჩება, ჩემ ქალიშვილს რომ მოზდგომია და ლანძღავს,
ერთი უნდა კარგათ ვკითხო საღ დიემართა ჩემ მელანიას
ბნელაო“. თინათინ მეტად მხდალი ადამიანი იყო, ალბად
მისი სიმხდალე უმეტეს ნაწილად იმისგან იყო, რომ ის

ცხადად გრძობდა თავს დამნაშავედ იმ საქმეში, რომელ-
საც მას აბრალებდენ. მართალია, მან მოხერხებულად
იკლდა თავის გამართლება, მაგრამ როცა დანაშაული
ცხადია, იქ აბა რალა თავის მართლება შეიძლება! „თუ
შემხთა, მომიკლავს იი აფთარი დედაკაცი, ვიცი! იმას ქვე-
ყანაზე სიავე არ დუუტიებია უქნელი, გათხოვამდი ფი-
რალათ იყო!“ ამბობდა შეშინებული თინათინ. „ნუ გე-
შინია, ნენავ, თითი რომ დავაწოს, სულ ამოვკლევტ ყვე-
ლას!“ ანუგეშებდა სამსონა. მაგრამ სამსონა ყოველგან
ხომ ვერ წაჰყვებოდა თინათინს, რომელსაც ისე უყვარდა
სიარული, რომ მეზობლები „მოქვის-კულა-მარახვეტიას“
უწოდებდენ. თინათინ არ დააკლდებოდა არც დღეობას,
არც ღამის თევას, არც ტირილს და არც სხვა შეკრები-
ლებას, თუ კი ფეხი მიუწვდებოდა. „მარტუაი რომ შემ-
ხთეს, ეგება, დანითაც დამკლას!“ ფიქრობდა თინათინ.
თინათინ შიშმა იმდენზე მიიყვანა, რომ დაუწყო რჩევა
თავის ვახდილს—შეერთე ზალიკაის ქალიო. რას იზამ,
შვილო? შენმა ბედმა უმაღ იქინეი მიგიყვანა, ბედითაა
ყოლიფერი, არც ისე გლახა იქნება, რომ ჩივიან.

— რა ქენი, ნენავ, შეგაშინეს?—ეხუმრებოდა სა-
მსონაი.

— არა, შვილო, შიშით რეიზა უნდა მეშინოდეს,
რა დანაშაული მაქ ვინმესთან! მარა შენდა ვჩივი, შვი-
ლო, შენ აფერი გიქნან ავი მეთქინ. იი ყაძახი ნაფირა-
ლეგია, დაგთება, შვილო, საცხა ყანიდან მომავალს და
რა უნდა კაცს ამდონი, ერთი ტყვია შენს მტერს და ავს
გააცივებს!

— შეგაშინეს, შეგაშინეს,—ეხუმრებოდა სამსონაი.
ერთ საღამოს ესიკას მოუვიდა ზალიკასაგან გამო-
გზავნილი კაცი, რომლის პირით ზალიკა უთვლიდა—
ირთავს შენი შვილი ჩემს ქალს თუ არა, გადაწყვეტილი
მაცნობეო. ესიკამ დაიწყო ყოყმანი და პასუხის მაგივრად
ჰკითხა გამოგზავნილ კაცს:

— მერე ასე აჩქარებულათ რომ მითვლის, რაიო
ვითამ?

— ალბათ თუ თქვენ ვარს ეტყვიო, სხვაგან ათხოვს
ქალს.—უპასუხა კაცმა, თუმცა-ღა კი ზალიკას ეს არ
უთქვამს მისთვის და არც ფიქრობდა ზალიკა თავის ქა-
ლის, სამსონას გარდა, სხვაზე გათხოვებას.

ესიკაი შევიდა შვილთან, მოველაპარაკები და ზა-
ლიკას პასუხს შევუთვლითო.

— რაიო?—ჰკითხა შვილმა.

— ქალს ათხოვს ზალიკაიო და ერთი კიდავ გაგვი-
კითხა,—უთხრა შვილს ესიკამ.

— რავა, ქალს ჩემი ბექედი ხელზე აქვს და სხვას
აძლევენ ცოლათ! აბა მე ძალდი ვყოფილვარ,—დაიყვი-
რა სამსონამ.

— შენ არ მოგყავს და გაათხოვს, აბა რას იზამს,—
უთხრა მამამ.

— არა, ჩემი ნიშანი ხელზე აქ და ათხოვს! აბა მე
ძალდი ვყოფილვარ!—ყვიროდა სამსონაი.

— ბიჭო, უტვინოთ რომ ყვირი, მიხთი, შენ თუ
არ შეერთავ, გაათხოვს, აბა რა უყოს!—უთხრა მამამ.

— არა, მე ძალიანი კარქათ ვიცი კანოლი: ჯერ მე
თუ სხვა ქალს შევირთავდი, მერე ექნებოდა იმას უფლე-
ბა გაეთხოვებია, ახლა რავა შეუძლია!

სამსონა ახლა თითონ გავიდა ზალიკას მოციქულთან

— ათხოვს ქალს? — ჰკითხა მან საჩქაროდ.
 ზალიკასაგან გამოგზავნილი კაცი ხერხიანი ადამიანი იყო: როცა შეატყუა ქალის გათხოვის ამბავი წაბლაძეს არ ესიამოვნა და შესაძლებელია ამ ერთმა სიტყვამ ზალიკას საქმე გაუკეთოსო, უთხრა წაბლაძეს:

— მართალია, ათხოვს. მოგახსენა, ბევრი ვეცადე, მარა პირი არ შემისრულეს, ახლა ჩემ ქალს ბედი მოუვიდა კარზე, ხელს ვეღარ ვკრავო და მე გამომაგზავნა, რომ შეგატყუობით აგი ამბავი.

— ასე უთხარი ჩემ მაგიერ— მომავალ კვირეს ქალი უნდა გამომიტხოვოს, ჯვარი უნდა დევიწერო ზეთ. იცოდეს, კვირე დილას ოცდაათი კაცი მიუვა ჩემგან მაყრათ, ქალი რომ სხვამ წეიყვანოს, ზალიკის ოჯახში ქვას ქვაზე არ დატივებენ, ისე დაქცივენ. რას ქვია, მე ცოცხალი ვარ და ჩემგან დანიშნულ ქალს სხვაზე ათხოვენ! — ვაცოფებულვით უთხრა სამსონამ ზალიკასაგან გამოგზავნილ კაცს.


— მე ვეცყვი თქვენს სიტყვას, — თქვა უკანასკნელმა.
 — კვირე დილას ოცდაათი მაყარი მოუვა, იცოდეს.
 — თქვენი ნებაა.

ზალიკას ფიქრადაც არ მოსვლია, თუ ასე დაბოლოვდებოდა ეს საქმე. იმან იმ მიზნით გაგზავნა წაბლაძისას კაცი, რომ ნამდვილად გაეგო — სასიძო უარს მეუბნებოდა და შემდეგ მოეთხოვა მისგან პასუხი შეურაცხყოფისათვის. მოლოდინის წინააღმდეგ სულ სხვა პასუხი მოუვიდა ზალიკას. ის დაუფაცურდა საქარწილოდ მზადებას და თუმცა მოკლე დრო იყო დანიშნული, მაგრამ, როგორც იყო, მოკვთების შემწეობით ძლიერ კარგი ქორწილი გამართა. კვირას, სადილობის დროს, მართლაც ზალიკას ესტუმრა წაბლაძისაგან გამოგზავნილი ოცდაათი მაყარი და, ეს იყო, გაჩაღდა ქორწილი.

სამხრობის დრო იქნებოდა, რომ წაბლაძის მაყრებმა, რომლებში ზოგი ზარხოშად იყო და ზოგი საკმაოდ მთვრალი, მოითხოვეს: „მოგვეცი თქალი, უნდა წავიყვანოთო“. მელანია შესვეს მშობლებმა ცხენზე, მაგრამ აქეთ მშობლები ტიროდენ და იქით მელანია ღვრიდა ცხარე ცრემლებს. „ეხ, რა დროს ტირილია ქორწილში! — შესძახა ამათ ერთმა ზარხოშმა მაყარმა, — ღმერთს გეფიცები, სიხარულით ტირიან. ქალს უხარია, რომ ქმარი იშოვნა, დედამამს კიდევ — რომ ქალიშვილი გაათხოვეს, — თქვა მეორემ.

ზალიკამაც თავის მხრივ ბევრი მაყარი წააყოლა თავის ქალიშვილს, მხოლოდ თითონ ზალიკა და მისი მეუღლე, ჩვეულების თანხმად, დარჩენ შინ. საკმაოდ კარგი მზითვი მოემზადებინა მშობლებს თავის ქალისთვის, თუმცადა ესიკამ კი მაინც დაიწუნა — ამ დროში ასე ღარიბი მზითვი რაღა შეიძლებაო. — მე ქალიშვილი სადღე-სახვადილით არ მყავს, ყოველთვის ვეცთები შეძლების-დაგვარათ ჩემ ქალიშვილს, რაც აკლია, შევუზლო, — უპასუხა ზალიკამ.

(შემდეგი იქნება).

 ახსოვს, როცა ვარსკვლავნი ცაში ელაგ-კრთებოდენ, რას სურვილი, იმედი,

ბედი ჩემთვის ქტებოდენ, — ხანგს შესე ხელი შენ...
 თრთლფა ტებილი ჭანგების შორს დაახნა სივრცეში, ვით მადლი ტის განგების. სული, კვნესს ჩვეული, ამიფუთქდა ღხენითა...
 გრძობით ცამდე ასულებს ვერ-რა გვეთქვა ენითა. ცას შევეურეთ, ვარსკვლავნი ისევ ელაგ-კრთებოდენ; დეთურ ტებილი ჭანგები თუმცა უკვე ღხებოდენ, მაგრამ სურვილი-იმედი ჩემთვის აღარ ქტებოდენ. გულმა იგრძნო სიფხიზლე, სულს მიეცა სხვა ძადა, განმიახლდა იმედი და შრამა დამავალა.

მყვარჩილის მჟა-ნახშირი და მის მომავალზე სწა-ზაასი პეშირბურკში *).

სანამ ტყვარჩელზე დავიწყებდეთ ბაასს, მკითხველს მოკლეთ გავაცნობთ ქვა-ნახშირის წარმოების საქმეს რუსეთში და სხვა ზოგიერთ გამოჩენილ ქვეყნებში. დღემდე თუ ვეროპა გაიძახოდა: „ჩვენ ვცხოვრობთ ორთქლისა და ელექტრონის საუკუნეში“ — ახლა ამის თქმა რუსეთსაც თამამათ შეუძლია, რადგან ამისმა ცხოვრებამაც საერთაშორისო ეკონომიურ ბრძოლის მორევში შეტობა და აქაც ეძლევა ამ ორ ძალას სამრეწველო-კულტურულ ცხოვრებაში თვალსაჩინო ადგილი. ამასთან ერთათ განუშორებელი საპატიო ადგილს იკერს საკითხი სთფეობი მასადის შესახებ, რამაც განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო ამ მოკლე ხანში. ამისათვის უპირველესათ საჭირო მასალაა — ნახშირი, რის შოვნა მთელი ქვე-

*) ამ წერილისათვის ვისარგებლეთ შემდეგი ნაწერებით. 1, Л. Лутугинъ — О Ткварчельскомъ каменно-угольномъ мѣсторожденіи (მოხსენება წაკითხული სამთო-მადნო ინჟინრების საზოგადოებაში 15 დეკ. 1900 წ.); 2, А. Радигъ — О Каменно-угольномъ кризисѣ (მოხსენება — 13 დეკ. 1900 წ. რუსეთის მრეწველობის დამხმარებელ და ვაჭრობის საზოგადოებაში); 3, მისივე — Каменно-угольная промышленность всего свѣта 1898 წ. 4, მისივე — О Каменно-угольной промышленности и мѣрахъ удешевленія угля и другого топлива въ Россіи (მოხსენება საიმპერატორო თავისუფალ ეკონომიურ საზოგადოებაში 16 იანვ. 1899 წ.); 5, Сѣверянинъ — Ткибульскія Каменно-угольныя копи („Кав. Вѣст.“ № I и II 1900 წ.); 6, Михаилъ Авсаркисовъ — Замѣтки по вопросу о развитіи крупной промышлен. на Кавказѣ (იქვე № 11.); 7, К. Черневскій — Каменный уголь въ Ткварчельской дачѣ — 1900 წ.; 8, Къ исторіи заявокъ на Камен. уголь вновь открытаго мѣсторожденія на берегу Черного моря — 1900 წ.; 9, Вѣст. фин. № 44 — 1900 წ. 10, „Кав.“ № 262 — 1900 წ.; 11, „Чер. Вѣс.“ 97 წ. 3 აპრ.; 12, Дитмаръ — къ вопросу о недостаткахъ рабочихъ на каменно-угольн. копяхъ Донецкаго Бассейна — 1899 წ.; 13, С. Шарановъ — Мой дневникъ — 1900 წ., вып. II.



ყნიერობისათვის დღიურ ჭირვარამს შეადგენს, და ამიტომაც დაჟინებით გაისმის ხმა ეგრედ წოდებულ „ნახშირის კრიზისზე“.

თავის-თავათ ცხადია, რომ ამ საერთაშორისო კრიზისის რუსეთშიაც უნდა ეჩინა თავი, რადგან დღემდე ნახშირის მაგივრობის გამწვევი რუსეთის მდიდარი ტყეები ამ ნახევარი საუკუნის განმავლობაში სულ განადგურდა. დღემდე, როგორც ყველგან, რუსეთშიაც ხე-ტყე შეადგენდა ერთადერთ სათბობ მასალას და 50 წლებიდან რკინის გზების და მიმოსვლის განვითარებამ გამოიწვია ტყიან ადგილებში საქარხნო-საფაბრიკო მრეწველობის აყვავება, რამაც განადგურა ხე-ტყე. მოსკოვის სამრეწველო რაიონი, თავდაპირველად წყლების ძალზე აღმოცენებული, შემდეგ შემთ სათბობზე გადავიდა და დღეს, როცა ეს მასალა თვალსა და ხელს-შუა გამოეცალა, ან, თუ კიდევ არის—მეტად გაძვირდა, იძულებულია ხელოვნურად დაიკმაყოფილოს მოთხოვნილება: მიმართოს იქვე აღმოჩენილ ცუდი თვისების ქვა-ნახშირს, ან შორეულს, მაგრამ ძვირს. ამის გამო, ამ რაიონის ფაბრიკა-ქარხნების გადატანა იწყეს იმ ადგილებში, სადაც სამუშაო და სათბობი მასალა ახლო და იაფია. ამ მხრით საქარხნო-საფაბრიკო მრეწველობას სამხრეთისა და კერძოდ კავკასიისაკენ მიმდინარეობა ემჩნევა, რადგან ამას ნავთისა და ნახშირის სიახლოვე იზიდავს. ასე, მაგ., გაიხსნა და იხსნება კავკასიის სხვა-და-სხვა ადგილებში ბამბა-აბრეშუმეულობის და მატყლის სართავ-საქსოვი ფაბრიკები, ტყავის საკეთებელი ქარხნები და ახლო მომავალში სამთა-მადნოდ დიდი ქარხნების გაკეთებაც მოჰყვება, რადგან აქ მრავალგვარი ლითონები აღმოაჩინეს და აჩენენ.

ამგვარად რუსეთმა, მოულო რა ბოლო შემთ სათბობ მასალას, დღეს ნავთსა და ნახშირზე გადასულმაც ვერ დაიკმაყოფილა თვისი სამრეწველო მოთხოვნილება და ამიტომ ასე განუწყვეტლივ გაისმის ლაპარაკი ცხოვრებასა და ლიტერატურაში სათბობა მასალის „კრიზისზე“.

ქვა-ნახშირის წარმოების საქმე რუსეთში 40 წ. იწყება და, როგორც ქვემოთ მოყვანილი ცხრილიდან დაინახავთ, დღეს იგი ვეებერთელა ციფრებს წარმოადგენს:

წლები	მილ. ფუთი.	წლები	მილ. ფუთი.
1855	9,5	1890	367,2
1860	18,3	1891	380,5
1865	22,3	1892	424,1
1870	42,4	1893	464,8
1875	104,3	1894	534,9
1880	200,8	1895	555,5
1885	260,6	1896	568,9
		1897	600,0

როგორც აქედან დაინახავთ, ქვა-ნახშირის განვითარების საქმე 2 1/2-ჯერ მატულობდა იმ ხანებში, როცა მაზე ბაჟი ან სრულიად არ იყო, ან ძალიან ცოტა. ამ განვითარებას ხელს უწყობდა აგრეთვე მფარველობითი (шкровительств.) სისტემა რუსეთის პოლიტიკისა და მუდმივი შუამდგომლობა ნახშირის მწარმოებლებისა რუსეთის ნახშირისათვის ფართო შინაგან ბაზრის მოპოების შესახებ. მაგ., ისინი თხოულობდნენ, რომ რუსეთის წყლებზე მოსიარულე გემების პატრონებისათვის და რკინის გზების მმართველობისათვის დავალებინათ აქაური ნახშირის ხმარება. თხოულობდნენ აგრეთვე, რომ საზოგადო დაწე-

სებულებათა სახლები შინაური ნახშირით ეთბოთ და სხვა. აუარებელ ქვა-ნახშირს ხმარობს რუსეთში რკინის გზები. ასე, მაგ. 1896 წ. მთელი რუსეთის რკინის გზებზე დახარჯულია 106 მილიონი ფუთი ნახშირი, 7,600,000 მილ. ფ. ანტრაციტი და ამასთან 63 მილ. ფ. ნავთი. ქვა-ნახშირის წარმოებაში დაბანდებულ მუშათა რიცხვი და მათი მუშაობის ძალას შემდეგი ციფრები გვიხატებენ:

მუშაობდნენ:	1892 წ.	1893 წ.	1894 წ.	1895 წ.
შახტებში (ჯებში)	33,453	37,113	39,594	39,068
და ზევით	9,791	10,950	11,567	12,147
სულ	43,244	48,063	51,161	51,215

საშუალო რიცხვი ერთი მუშის-მიერ დამუშავებული ნახშირისა იმავე წლებში 9,806 ფუთი, 9,671 ფ. 10,456 და 1895 წ. 10,846 ფ.

უმთავრეს ქვა-ნახშირის რაიონებად რუსეთში ითვლება შემდეგი ადგილები: დონის ბასენი (აუზი), სადაც ყოველ წლით, 1892—1895 წ.წ. 300 მილ. ფ. ნახშირი ამოაქვთ; პოლონეთში—დომბროვსკის აუზი, რომელიც 1/3-ზე მეტს იძლევა მთელი რუსეთის ნახშირისას, სახელდობრ, 240 მილ. ფ., შემდეგ მოსკოვის მახლობლად ტულისა და რიაზანის გუბერნიების აუზები, ურალის მთების, კიევისა და ელისავეტგრადსკის მიდამოები; კავკასიაში ტყიბულის მადნები და ციმბირშიაც—კუნენცკის აუზი და სახალინის კუნძული. მიუხედავად ქვა-ნახშირის ამგვარი სიმდიდრისა, რუსეთში დღეს მაინც გაისმის ხმა ნახშირის სიძვირისა, კრიზისისა და მხმარებლების დაუკმაყოფილებლობისა. მიზეზს ამისას ბ. ა. რადციგი და მასთან ერთად მრავალნი სტატისტიკოს-ეკონომისტები ხედვენ: 1, ქვა-ნახშირზე არსებულ მომეტებულ გარდასახადებში, განსაკუთრებით საზღვარ-გარეთისაზე და მეორეც რკინის გზების ფრახტების მეტ სიდიდემი. ამას ის გარემოებაც ემატება, რომ გადასახიდი საშუალებაც კოქსს, რკინის გზები ვერ ახერხებენ თავის დროზე და ადგილზე ნახშირის გადატანას და ამის გამო მოთხოვნილება (спросъ) და მიწოდება (предложение) ვერ განუწყვრივებიათ. ამ უკანასკნელი მოვლენის მაგალითიც ამ ერთი წლის წინათ მოხდა. 1900 წლისათვის მხმარებლებმა მოითხოვეს 481 მილ. ფუთი ნახშირი; აქედან 4,435 მილ. ფ. დაკმაყოფილებას შეპირდა სამხრეთის მთამადნების სამრეწველო „სიეზდი“ და ნამდვილათ-კი გადაზიდული ნახშირი უდრიდა 414,065,000 მ. ფ. ანაირად დააკლდათ 29,5 მილ. ფუთი. 1901 წლისთვის, ნახშირის მწარმოებლების გამოანგარიშებით, მოთხოვნილება აღის 498 მილ. ფუთს. და გაგზავნის იმედი აქვთ მხოლოდ 474 მილ. ფუთისა. ასე რომ 1901 წლისთვის 24 მილ. ფ. ნახშირი დააკლდებათ. რუსეთში ქვა-ნახშირის კრიზისი ყველაზე უფრო საგრძნობელი გახდა სამხრეთისაკენ, სადაც მომეტებული გადასახადი მაზე; პირიქით, პოლონეთში, სადაც ეს გადასახადი ნაკლებია, ნახშირის კრიზისი ისე საგრძნობელი როდია, რადგან დანაკლისს საზღვარგარეთიდან შამონატანით ივსებენ.

ქვემოთ მოყვანილი ციფრები გვიჩვენებენ გადასახადების რაოდენობას ნახშირზე (ფუთზე) სხვა-და-სხვა სახელმწიფოებში.

რუსეთი შავი ზღვის	კოკსი ნახშირი	კოკსი ნახშირი
საზღვრებზე	9 კ.	6 კ. ნატალი 2,3 კ.

რუსეთი ხმელეთსა	2,25	1,5	ტასმანია	0,76	2,3,3
ბალტიის ზღვაზე					
ამერიკა	3,2	2,0	კანადა	—	1,86
ისპანია	2,1	2,1	კაპისახალშ.	—	1,7
იაპონია	2,4	1,5	საფრანგეთი	0,76	0,76

აქ დაუსახელებელ სახელმწიფოებში სრულიად არ არსებობს ნახშირის გადასახადი, რაც ნახშირის წარმოების განვითარებას ძალიან ხელს უწყობს.

გეროპის სახელმწიფოებში პირველი ადგილი ნახშირის წარმოების და მოხმარების საქმეში ინგლისს უჭირავს, რასაც გვაჩვენებს შემდეგი ცხრილი:

წლები	რიც. მილ.	ნახ. მილ.	რიცხვი მუშებისა და მიწის ზეფით	ფასი ნახშ. მანეთობ.	მუშის და ნაშუალები ფუთობით	ფასები ფუთ.
1883	10,152	471,679	433 მილ.		21,514	4,2
1890	11,260	590,011	705		19,996	6,3
1895	11,759	554,017	133,354	538	17,112	4,6
1897	12,532	558,305	136,908	562	18,026	4,5

ამასთან უნდა შევნიშნოთ, რომ ფასების აწევა ნახშირზე, მაგ., 1890 და 91 წ.წ. იწვევდა აჯანყებას მუშებში, შემცირებას სამუშაო დღისას, რასაც შედეგად დამუშავებულის შემცირებაც მოჰყვებოდა ხოლმე, როგორც ამას უკანასკნელ წლებში ვხვდავთ. ამავე დროს გვირახების მუშების ქირა 5 შილ. და 2 პენსი, ანუ 2 მ. 43 კაპ. იყო, ზევით მომუშავეთა-კი 25 შილ. და 6 პენსი, ანუ 11 მან. 98 კ. კვირაში. ფიჩების ზედამხედველების—18 შილ. 10¹/₂ პენ., ანუ 8 მ. და 87 კ.

მეორე ადგილი ნახშირის წარმოების საქმეში უჭირავს შეერთებულ შტატებს. 1883 წ. 6,378,000,000 ფუთიდან 14 წლის განმავლობაში—1896 წლამდე ავიდა 10,628,000 მილ. ფუთამდე. მუშათა რიცხვი 1889 წ. 300,000-დან ავიდა 1896 წ. 386,656-დღე. თითო მუშის დანამუშევარი ამერიკაში უფრო მეტია, ვინემ რომელსა-მე სხვა სახელმწიფოში, რაც შედეგია წარმოების საშუალების, ტექნიკის უმწვერვალესი განვითარებისა. ამერიკელი მწარმოებელი წლობით და საუკუნეებით-კი არ გადადის ერთი მანქანიდან მეორე უმჯობესზე, არამედ თვეობით და დღეობით. ამიტომაც საწარმოო იარაღების, ყოველგვარ მანქანების განვითარებამ ამ ახალ ქვეყანაში ყველაზე უფრო კარგი ნიადაგი მოიპოვა.

ამერიკის შემდეგ ნახშირის წარმოება შესანიშნავათ წინ მიდის გერმანიაში. განსაკუთრებით კარგი თვისების კოკსს ამზადებენ დღეს გერმანიაში ლითონის ქარხნებისათვის, ასე, რომ მექარხნეები მას ინგლისის საუკეთესო კოკსს ამჯობინებენ. რაც შეეხება ნახშირის ხარჯვას თითო სულზე, აქ ციფრები შემდეგ სურათს გვიჩვენებს: ამ უკანასკნელ 20 წლის განმავლობაში ხმარება გაორკეცდა, სახელდობრ, 1876—80 წლებში იგი უდრიდა 71 ფუთს სულზე, 81 წ.—85 წ. ავიდა 88 ფ., 96—90 წ. კი—103 ფ. 1891—1896 წ. კი—131 ფუთამდე ავიდა. რაოდენობა ქვა-ნახშირისა გერმანიაში 1897 წ. უდრიდა 7,346 მილ. ფუთს ე. ი. 12-ჯერ მეტს რუსეთში ამოღებული ნახშირისა.

შემდეგ გერმანიას მიჰყვება საფრანგეთი, რომლის ნახშირის ამოღება 1787 წ. 13 მილ. ფუთიდან 1850 წ. 273 მილ. ფუთზე ავიდა. ხოლო 1896 წელს-კი ეს რი-

ცხვი 1781 მილ. ფუთს გვიჩვენებს. მუშათა რიცხვი გვირახებში და ზევით 1883 წ. 113,0003-დან 1896 წ. 140—174-დღე ავიდა. მწარმოებლობა (производительность) მუშისა-კი გერმანიისა და ინგლისისაზე ნაკლები იყო, რაც იმის ბრალია, რომ საფრანგეთში ქვა-ნახშირის ნაკლები ხელია და ამის გამო ძნელდება მისი ამოღება. წლიური საშუალო ქირა გვირახების მუშებისა 1896 წ. უდრიდა 478 მან., ხოლო ზევით—353 მან. დღიურათ პირველნი ღებულობდნენ 1 მ. 68 კ., მეორენი-კი—1 მ. 19 კ.

საფრანგეთს შემდეგ ნახშირის წარმოებაში მეხუთე ალადგი ბელგიას უჭირავს. აქ 1883 წ. 1109 მილ. ფუთ., 106,252 მუშათა რიცხვიდან და 10,431 ფ. მათი მწარმოებლობიდან. 1896 წელში პირველის რაოდენობა იყო 1,296 მილ. ფ., მეორის—119,246 კაცი, ხოლო მესამე—10,858 ფუთი. საშუალო წლიური ქირა მუშისა იყო 367 მან. ამასთან ნახშირის სიძვირის დროს, მაგ. 1891 წ. ისინი იღებდნენ 407 მანეთამდე.

მთელი ქვეყნის ნახშირის წარმოება 1890 წ. იყო მილიონი ფუთობით 31,174, 1891 წ. 32,490, 1892 წ. 32,790, 1893 წ. 32,148, 1894 წ. 33,636, 1895 წ. 35,508 და 1896 წ. 36,550 მილ. ფ.

აქედან სჩანს, რომ 7 წლის განმავლობაში მთელი ქვეყნიერების ქვა-ნახშირი 31,174 მილ. ფ. ასულა 36,550 მ. ფ., ე. ი. 18% უმატია. რუსეთის მონაწილეობა ამ საერთა-მორისო სამრეწველო ბრძოლაში 1,6%-ით ისაზღვრება.

ის. კვიციანიძე.
(შემდეგი იქნება)

მცირე შენიშვნა.

(ლია წერილი „დრანდის მეაბრეშუმეთა ამხანაგობის“ კომისიას).

მკითხველი გაიკვირებს, რომ წაიკითხავს ასეთი ამხანაგობის სახელ-წოდებას სოხუმის ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ. რადგან ამ ამხანაგობის შესახებ ჯერ თითქმის არაფერი დაწერილა ჟურნალ-გაზეთებში, ამისათვის, სხამ შეუუღებოდეთ ღია წერილის წერას, გვსურს ორიოდ სიტყვას ვთქვათ ამ ამხანაგობის შესახებ.

1899 წ. დასაწყისს სოფ. დრანდაში მოგვსტრეებმა: ბბ. ი. ბურჭულაძემ, ბ. ჭოჭუამ, ს. ბურულაძემ, ა. ჯორჯიკიამ, ი. იოსავამ, ი. სიჭინავამ და ი. სინარულიძემ განიხრახეს სოფ. დრანდაში დაკარსებით მეაბრეშუმეთა ამხანაგობა. დრანდის საზოგადოებამ ეს მოიწონა და ბურჭულაძეს შეუდგინა. შეაგროვეს რამდენიმე ფული და გამოიწერეს თესლი, რომელიც დაურთეს სოფელს. რადგან ჯერ ხელის-მომწერლები ცოტანი იყვნენ და მთელი მოქმედება ამ ცოტა ფულითარ შეიძლებოდა, ისესხეს ფული და ისე აწარმოვეს საქმე მარტიდან აგვისტომდე 1899 წ., ოქტომბრის 10 მოიწვიეს წევრები დრანდაში, რომ ამოერჩიათ კომისია და განხილათ მოქმედება დრანდაში გამგეობის (გამგეობას შეადგენდა ი. ბურჭულაძე და კადეგ სხუები). კრებამ განიხილა მოქმედება გამგეობის და აღმოჩნდა, რომ ამხანაგობას მარტიდან აგვისტომდე გასვადი ქმნიას 2377 მ. 54 კაპ., ხოლო შემოსავალი-კი 2747 მ. 30 კაპ., წმინდა მოგება დაჩენილა ფულათ 369 მ. 76 კაპ. და ინვენტარიც 154 მ. 80 კაპ., ღირებული სულ 524 მ. 57 კაპ. კრებამ ეს ანგარიში დაამტკიცა; ამოერჩია კომისია ოთხი კაცისაგან (მ. თაფურაძე, ან. ჯუღელი, ვ. წერაძე და თ. სხო-



კია), რომელსაც დაეჯდა შემუშავება ამხანაგობის წესდების, თანხმით გურიის სააღებ-მიტეპო ამხანაგობის „შუამავლის“, წარსადგენთ ნოტარიუსთან, ამხანაგობის ხელის მოსწერად. ამავე კომისიას დაეჯდა მოაწიოს წევრები, მთავრობისგან ნება-რთვის აღების შემდეგ, სოფ. დრანდაში, ამოსწერვეთ ამხანაგობის გაშვას და სხვა თანამდებობის ზირთა. კომისიამ შემუშავა ამხანაგობის წესდება და თხოვნიურთ წარუდგინა სადაც ჯერ იყო ნების დასართველათ. 28 იანვარს დაბარეს წერილებით წევრები ქ. სოხუში, სადაც უნდა მოეხდინათ: 1) აჩუკვა ამხანაგობის გამკეობისა, რჩევისა და სარევიზიო კომისიისა; 2) შედგენა და დამტკიცება მიმდინარე წლის ხარჯთაღრიცხვისა.

დანიშნულ დროს წევრები შეიკრიბენ სოხუმის თვითმართველობის დარბაზში. მიიტანეს წესდების ნება-რთვა და წაუკითხეს წევრებს, საიდანაც ვტუეობილათ, რომ მთავრობას ნება დაურთავს 8 აგვისტოს 1900 წ. წაკვიკითხეს, რომ დასარსებულათ ამხანაგობის ითვლებიან ის ზირები, ვისაც ხელი მოუწერია მთავრობასთან გაკზანვილ ქალაქზე. ესენია 21 კაცი სოხუმელები. რადგან კომისია სოხუმელი იყო, ამისათვის მოვალეობათ არ ჩათვალა, რომ მთავრობასთან გასაკზანვი ქალაქი ხელის მოსწერათ გაკკზანვი დრანდაში, საიდანაც დაიწყო ამხანაგობის ინიციატივა, და რომლის წევრების უმრავლესობას შეადგენს დრანდის და მისი ახლომახლო საზოგადოებები. წაკვიკითხეს აგრეთვე, რომ, გარდა იმ 21 კაცისა, არავითარი უფლება არ გვქონდა, თურმე, გამოგვცნადებულებით კრებაზე. ბოლოს ისიც ამოკითხეს, რომ კრება უნდა მომხდარიყო, იმავე ნება-რთვის ძალით, დრანდაში და არა სოხუში. აი ეს არის მოკლე ბიოგრაფია „დრანდის შეპირებუთა ამხანაგობისა“.

ახლა ჩვენ ვთხოვლობთ კომისიიდან შემდეგ კითხვებზე მსურს: 1) მთავრობისგან ნება-რთვა როდის მიიღო მან? წესდება დამტკიცებულა 8 აგვისტოს გასული წლისა. ჩვენ დარწმუნებით ვიცით, რომ მიღებული აქვსთ აგვისტოშივე. მის რას უყურებდა კომისია ამდენ ხანს, რომ 8 თებერვალში იმ ნება-რთვას ვადა გაუდის, თუ ამხანაგობა არ შედგა? 2) თუ-კი დამარსებულათ ითვლებოდენ 21 კაცი და მხოლოდ იმითი მოსვლა იყო საჭირო? რისთვის მიიწვიეს წერილებით 20—25 ვერსტის სიშორიდან ვისაც არ ქქონდათ ხელი მოწერილი? 3) რა უფლებით იხელმძღვანელა კომისიამ, რომ კრება მოახდინა სოხუში და არა დრანდაში? 4) ნუ თუ 5/2, თვის განმავლობაში ნება-რთვა ხელში ქქონდათ და ვერ გაიკეს მისი შინაარსი? იმედია კომისია მსურს მოგვცეს.

- ამხანაგობის წევრნი: {
 ი. დუნდუა.
 ს. დუნდუა.
 ბ. დუნდუა.
 ვ. ბერძენიშვილი.

სამეცნიერო ცნობები.

ჭრილობის შესახვევით ახლბუდის ხმარება.

როგორც ჩვენში, ისე რუსეთშიაც და საფრანგეთშიაც ძალიან არის თურმე გავრცელებული ცრუ მორწმუნეობა, რომ ჭრილობის შესახვევით და სისხლის შესაწყვეტათ ახლბუდე ერთი საუკეთესო საშუალებეა. ჩვენში, მგონია, სულ ერთია ახლბუდას სად მოვლევჯავენ, მაგრამ საფრანგეთში-კი თურმე უფრო სასარგებლოთ მიჩნიათ თავლის ახლბუდა. ამ ცრუ-მორწმუნეობას ყოველივე საშუალებით უნდა ებრძოლოს კაცი, ამიტომ, რომ, ახლბუდა, რომელიც დიდხანს ჰკიდია ხოლმე, აგროვებს ჰაერიდან და ინახავს სხვადა-სხვა მიკრობებს. გარდა ამისა, ბევრი მოაქვთ მასთან ბუზებსაც.

ამ ახლბუდის საშუალებით ავადმყოფობის გადაღება ძალიან ადვილია, მით უმეტეს, რომ შესახვევით უფროს შემთხვევაში ხმარობენ ძველ ახლბუდას, ე. ი. ისეთებს, რომელიც უფრო ძალიან გამოჩურთულია სხვა-და-სხვა მიკრობებით. ამ წინაზე პარიკის სავეტერინარო ინსტიტუტში ექიმმა პეკიუსმა აუწყა საზოგადოებას ასეთი შემთხვევა. ცხენმა ფეხი გაიჭრა თავლაში და იქვე ახლბუდით შეუხვიეს, რამდენიმე დღის შემდეგ ცხენს ფეხი გაუსივდა; აღმოჩნდა შემდეგ, რომ ცხენს ყვაილი შეჰყროდა. ბეთალმა ეს გარემოება იმით ახსნა, რომ ცხენის ჭრილობის შესახვევით თურმე ახლბუდა იმ საძროხიდან გამოიტანეს, სადაც ყვაილით ავადმყოფი ძროხები იყო. ახლბუდა რამენაირათ ყვაილის ბაცილები გადავიდა ახლბუდაზე და შემდეგ აქედან ცხენზე.

ექიმ ნოქარს შეუნიშნავს, რომ ამ გზით ბევრი სხვა ავადმყოფობაც გადადის და ვრცელდება. შემოხსენებული ამბები ცხლათ გვიმტკიცებენ, რომ ჭრილობის შესახვევით ახლბუდის ხმარება დიდათ მავნებელი ყოფილა და ამიტომ არაფრის გულისათვის არ უნდა იხმარებოდეს ამგვარი შემთხვევისათვის.

წერილი რედაქციის მიმართ.

„კვალის“ მეორე ნომერში მოთავსებულია კორესპონდენცია ბ. შ. ქეშელაშვილისა ს. წინარეხიდან. ავტორი უშუალოდ სიტყვებით ბრალს სდებს ეგეასს, ვინც-კი წინარეხში მასწავლებლად ყოფილა და არის. ვითომც იგინი ყოფილიყვენ მოძულენი თვისის ერისა, შეგნებული არა ქქონდათ თავიანთი მოწოდება, გულგრილათ ეკიდებოდენ და ეკიდებთან დღესაც მომავალ თაობის აღზრდას და სხვა...

რომ სოფლის სკოლის დაქვეითებას ბევრი აუწონ-დაუწონავათ მარტო მასწავლებელთ სხვეს თავს, „არ ახალა—ძველია“ და ამიტომ ბ. ქეშელაშვილსაც მივცეთ ნება სოფლის მასწავლებელთა მდევნელთა სიაში ჩაეწეროს.

წარსული წლის 19 დეკემბრიდან „ქ. შ. წ. კ. გამავრცელებული საზოგადოების“ გამკეობამ დანიშნულ სოფლის სკოლის მასწავლებლათ მე გამაშწეს. მისფლისთანავე ერთის კვირის განმავლობაში შეგროვდენ ოთხმოცზე მეტი მასწავლებელი, რაცა იშვიათი შემთხვევა არის აქ. მას აქეთია იგინი ერთგულათ დადიან, რის მოწიებიც არიან აქაური „ერი, ბერი, დეველი“ და სხვა. კვირახობითაც-კი არა ვარ მოსვენებული, რადგანაც ბ. ქეშელაშვილსაც არა ნაკლებ მესმის, რომ „მასწავლებელი ნამდვილი კეთილ-მოდგაწე ადამიანი უნდა იყოს“ და სხვა.

ბ. ქეშელაშვილის სიტყვები მე ჩემს თავზედაც მივიდე, ხოლო საკვირველი ეს არის, რომ მე იგი არ მიცნობს და რაც მე წინარეხში ვარ, მას ეს სოფელი, გვანებ, სიზმარშიაც არ უნახავს. თუ ძველი მასწავლებელი ქეშელს ნიშნში ამოდებული და მე არა, ეს უნდა აღენიშნა.

დასსრულ, ვსთხოვ ბ. ქეშელაშვილს, გაზეთისავე საშუალებით გამოაცხადოს შემდეგი: 1) მისი ნათქვამი სიტყვები მეც შემეხებთან, თუ მარტო ძველ მასწავლებელს. 2) თუ მეც შეხებებთან, აღნიშნოს წყარო ამ ამბისა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ბ. ქეშელაშვილის საქციელს ვუწოდებ ცილის-წამებას.

წინარეხის სკ. მასწ. ვანო გიუნაშვილი.

საქველმოდქმოდ საქმე.

უმორჩილესად გთხოვთ უგულითადესი მადლობა გამოუცხადოთ თქვენი პატივცემული გაზეთ „კვალის“ საშუალებით იმ პირთ, რომელთაც კეთილ ინებეს და შემწეობა აღმოგვიჩინეს სამლოის სკოლის სამკითველოსათვის ქართული ჟურნალ-გაზეთების გამოსაწერათ. სია შემომწირველთა:

მღვდელმა იესე ინგოროყვამ ორი მანეთი. თითო მანეთი. ბბ. ს. წითლიძემ, წუწუნავამ, ი. ნაკაიძემ, ი. ბოლქვაძემ, ნიკო ბაქანი-

ქმ, ხალ. ლომადემ, ს. თავადემ და ი. ცერცვაძემ. ათ-ათი შაური. ქან მართა წითლიძისა და აპოლინე ბოლქვაძის ასულმა, პრაპორ-ჩიკმა ზურაბ ნაკიძემ, ლ. ნაკიძემ, წითლიძემ, დ. წითლიძემ, მის ნაკიძემ, მელიტონ ფარეშვილმა, ვ. ქინქლაძემ, ბეს. მახარა-ძემ, სამ. გოგოტიშვილმა, ირ. თოდემ ექვსი შაური, კ. ბალათურიამ, ხუთი შაური. ა. ბოლქვაძემ აბაზი, იოსებ ზოდემ აბაზი, იოსებ მახარაძემ აბაზი. თვედორე ანდლულაძემ აბაზი და მირიან თავაძემ ორი შაური. ამ ფულებიდან ჯერ ჯერობით „კვალის“ რედაქტორს გავუგზავნეთ სამი მანეთი, „ივერისას“ სამი, „კომპობის“ და „ცნო-ბის ფურცლისას“ ხუთი მან. და „მოგზაურს“ 2 მან. 50 კაპ. ფუ-ლათ დაგვჩრა—ორი მანეთი და 34 კაპ. ამასთანავე ვთხოვთ ბბ. რედაქტორებს რომ რაც შეიძლება ნაკლებ დაგვითმონ თავისი პა-ტივცემულნი კურნალ-გაზეთები.

სამდთოსი სამრევლო სკოლის მასწავლებელი გერასიმე ნაკიძე. მზრუნველი ამავე სკოლისა იოსებ გიორგისძე ბოლქვაძე.

ულრმეს მადლობას ვუძღვნი ქ-ნ ანიკო ნადირაძისას, რომელ-მაც კეთილ-ინება და შეაგროვა თავის ნათესავ-მეგობრებში ორმო-ცი მანეთი და სრულიად მოულოდნელად შემიმხუბუქა გაჭირვებული მდგომარეობა.

სტუდენტი ვ. ნახუცრიშვილი.

ქ. დობრატი (იურივი).

შინაბასი. თავ. რაფიელ ერისთავი (ნეკროლოგი). — რაფიელ ერისთავს, ლექსი ევდოშვილისა. — რაფ. ერისთავი, როგორც საერო პოეტი, იე. გომართლისა. — შინაური მიმოხილვა. — სხვა-და-სხვა ამ-ბები — კორესპონდენციები. — ჩვენი შინაური საქმეები, მათუსალასი. — რუსეთის ცხოვრება. — საზღვარგარეთ. — ცოლი და ქმარი, მოთხრო-ბა ეგ. ნინოშვილისა. — * ლექსი ჩხატარაიშვილისა — ტყვარჩელის ქვა-ნახშირი და მის მომავალზე სჯა-ბაასი პეტერბურგში, ის. კვიცა-რიძისა. — მცირე შენიშვნა. — სამეცნიერო ცნობები. — წერილი რე-დაქციის მიმართ. — საქველ-მოქმედო საქმე. — განცხადებები.

რედაქტ.-გამომც. ან. თ. წერეთლისა.

გ ა ნ ც ხ ა დ ე მ ბ ა ნ ს ი

открыта подписка на 1901 годъ
НА ЕЖЕНЕДѢЛЬНУЮ ГАЗЕТУ
ПРАВО

Выходящую безъ предварительной цензуры подъ редакціей пр.-доц. В. М. Гессена, и Н. И. Лазаревскаго, при ближайшемъ участіи Г. В. Гессена, О. О. Грузенберга, пр.-доц. А. И. Камника, В. Д. Набокова, проф. Л. Г. Петражицкаго и пр.-доц. В. М. Устинова, по прежней программѣ.

Годовые подписчики получаютъ въ качествѣ приложеній: Сбор-никъ рѣшеній Кассационныхъ департаментовъ и общаго собранія 1-го и кассационныхъ департаментовъ и кассационныхъ департаментовъ Правитель-ствующаго Сената и „Закондательный Вѣстникъ“, въ которомъ будутъ помѣщены всѣ распубликованныя въ 1901 г. общія узаконенія, под-лежащія внесенію въ Сводъ Законовъ и тѣ указы Пр. Сената и ад-министративныя распоряженія, которые представляютъ существен-ное значеніе для разьясненія смысла законовъ.

Редакція даетъ годовымъ подписчикамъ „Права“ безплатные отвѣты (въ количествѣ не болѣе 3-хъ) на юридическіе вопросы.

Въ теченіе 1899 и 1900 гг. въ газетѣ Право помѣстили статьи и замѣтки слѣдующія лица:

- К. К. Арсеньевъ, М. Бейлянь, В. Л. Бивштокъ, А. Л. Бо-ровиковскій, В. И. Борткевичъ, А. Бугаевскій, Г. А. Бѣлковскій, пр.-доцентъ Ф. А. Вальтеръ, Г. Л. Вербловскій, М. М. Винаверъ, Ал. Н. Вольскій, проф. А. К. Вульфертъ, Л. В. Гаитоверъ, М. И. Ганфманъ, В. Л. Глинка, М. С. Гольденвейзеръ, проф. А. Х. Гольмстенъ, прив.-доц. М. Б. Горенбергъ, Я. К. Городскій, dr. Hans Gross, М. О. Грузенбергъ, пр.-доц. Н. В. Давыдовъ, И. С. Денисьевъ, Гр. А. Джаншievъ, И. Дружина, проф. Н. Л. Дювер-нуа, В. Б. Ельхшевичъ, прив.-доц. А. А. Жижиленко, К. П. Змир-ловъ, проф. И. А. Ивановскій, Б. Кетряць, проф. В. Д. Кузьминъ-

Дозволено цензурою. Тифлисъ, 23 февраля 1901 г.

- Караваявъ, Д. А. Левинъ, Д. Д. Лобавовъ, М. А. Лозина-Лозин-скій, В. О. Люстихъ, Д. Н. Мандельштамъ, М. С. Маргулісь, П. Г. Мироновъ, Г. В. Михайловскій, Д. Я. Иргамень, В. Михале-вичъ, Э. М. Моргулісь, проф. С. А. Муромцевъ, М. И. Мышь, В. А. Мясотинъ, прив.-доц. С. П. Никоновъ, dr. Oertmann, Ф. И. Осецкій, М. Г. Осинекій, П. Э. Панкратьевъ, пр.-доц. М. Я. Пер-гаментъ, пр.-доц. А. А. Пиленко, С. Ф. Платоновъ, П. А. Потѣхинъ, И. М. Рабиновичъ, Ф. И. Родичевъ, прив.-доц. Н. Н. Розинъ, М. И. Свѣщниковъ, В. И. Семевскій, В. Д. Съасовичъ, Е. Н. Тарновскій, П. А. Тулубъ, Г. Тумановъ, И. М. Тютрюмовъ, И. О. Фесенко, проф. И. Я. Фойницкій, В. В. Хижяковъ, проф. П. П. Цитовичъ, проф. Н. М. Цытовичъ, И. Д. Чистяковъ, К. В. Шауровъ, Б. В. Шалландъ пр. Г. Ф. Шершеневичъ, Вл. Шлезингеръ, Гр. И. Шрейдеръ.

Поставивъ въ числѣ своихъ задачъ ознакомленіе читателей съ существующей судебною и судебнo-административной практикою, а также разработку этой послѣдней, „Право“ удѣляетъ широкое мѣсто судебнымъ отчетамъ, а также разбору рѣшеній, приговоровъ и административныхъ постановленій, представляющихъ принципиаль-ный интересъ, причемъ, между прочимъ начиная съ осени 1899 г. въ „Правѣ“ помѣшались отчеты о всѣхъ дѣлахъ, разсмотрѣнныхъ въ кассационныхъ департаментахъ Правительствующаго Сената.

Подписная цѣна: на годъ съ доставкою и пересылкою 7 руб., на полгода 4 руб. Допускается разсрочка: при подпискѣ 4 р. и къ 1 мая 3 р. За границу на годъ—10 руб. Отдѣльные нумера продаю-тся по 20 коп.

Главная контора С. Петербургъ, Дмитровскій пер., № 6.

ОТКРЫТА ПОДПИСКА
годъ 2. на 1901 г. годъ 2.
на еженедѣльную
финансово-экономическую, торговую и про-
мышленно-техническую газету

„Промышленный Миръ“

Газета „Промышленный Миръ“ выходитъ еженедѣльно, въ объемѣ около 3 листовъ текста, и содержитъ слѣдующіе

отдѣлы:

- I. Правительственныя распоряженія.
- II. Статьи, обзоры и корреспонденціи по финансово-экономиче-скимъ и торгово-промышленнымъ вопросамъ.
- III. Хроника.
- IV. Кредитъ и банковое дѣло.
- V. Акціонерное дѣло.
- VI. Фабрично-заводскій отдѣлъ.
- VII. Горное дѣло.
- VIII. Хлѣбная торговля и мукомольная промышленность.
- IX. Страховое дѣло.
- X. Обзоры новѣйшихъ изобрѣтеній въ области техники.
- XI. Пути сообщенія, тарифы, фрахты.
- XII. Обзоръ печати и библиографія.
- XIII. Вопросы и отвѣты (практическія свѣдѣнія, указанія и сооб-щенія промышленнымъ дѣятелямъ).
- XIV. Объявленія.

Редакція газеты „Промышленный Миръ“ относится съ полнымъ безпристрастіемъ ко всякому обоснованному мнѣнію по вопросамъ нашего экономическаго быта.

Столбцы газеты открыты какъ для представителей экономи-ческой науки, такъ и для просвѣщенныхъ практическихъ дѣятелей, которые прямо заинтересованы въ томъ, чтобы нужды разныхъ от-раслей торгово-промышленной дѣятельности своевременно остана-вливали на себѣ вниманіе общества и правительства.

ПОДПИСНАЯ ЦѢНА СЪ ПЕРЕСЫЛКОЙ И ДОСТАВКОЙ:

на годъ—10 руб., полгода—5 руб. и четверть года—3 руб.
Подписка принимается въ конторѣ редакціи: С.-Петербургъ, Коломенская ул., д. № 1, и во всѣхъ книжныхъ магазинахъ.
(3—2) Редакторъ-Издатель А. С. Залмиунинъ.